

1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პიონერი 5
1961



საქართველოს

საქართველოს

40

წელი



სამშობლოს

სამშობლოს წინსვლა
გასაკვირველი,
მზის მსურვალეა
გარს რომ ავლია—
აი, პირველი!
აი, პირველი!
რის სიყვარულიც
მე მისწავლია;

შენს გამარჯვებას
ჩანგო მოველი!
ოჰ, შენთან დღენი
ჩემნი წარვლიან,
მედგარი ბრძოლა!—
აი, ყოველი,
რის სიყვარულიც
მე მისწავლია!

გავმლი ძვირფასი
ლექსების კონებს:
რა სიუხვეა!
რა სიმრავლეა!
გადამასწავლოს,
ნურავინ ჰგონებს,
რის სიყვარულიც
მე მისწავლია!

ბალაჰონოვ ვახიძე

პლაკატი
მხატვ. შ. კუპრაშვილისა

გარეკანის პირველი გვერდის
მხატვრობა— თ. სამსონაძისა



„საქართველოში ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი ღროვა“.

მხატვარი რ. სტურუა

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნოკრ პიონერთა ორგანიზაციის რედაქციის საბჭოს ყოველთვიური საბავშვო შუბნალი

რედაქტორი რევაზ მარგანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი)

მარიჯანი, რ. ქორქია, რ. ელანიძე, ვ. ფოცხევილი

(სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის წელი

XXXV

პიონერი

5

1961



სკოლოვანი 40 წელი

საქართველოს
საბჭოთაო
სკოლა

1921 წელი, 25 თებერვალი!

ყოველი ქართველისათვის ძვირფასია ეს დღე, რომელმაც ბედნიერება და სიხარული მოუტანა მას. ამ დღეს დაგვირგვინდა გამარჯვებით საქართველოს მშრომელთა ხანგრძლივი, მძიმე ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობისა და შემდეგ მენშევიკების სამწლიანი ბატონობის წინააღმდეგ. საქართველოს მშრომელებმა დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით თბილისის თავზე ააფრიალეს წითელი დროშა.

ამ დღიდან დაიწყო საქართველოს მშრომელებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხთან ერთად სოციალიზმის დიდი შენობის მშენებლობა, და აი, ახლა უკვე მეორმოცეჯერ აღნიშნავენ თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს.

მაგონდება ცხრაასოციანი წლების საქართველო: თბილისი, ქუთაისი, გორი, ფოთი, ქართული სოფლები... განა შეიძლება შეადარო, მაშინდელი სახე ახლანდელს! ჩვენი ქალაქების უმეტესობა დიდ სოფლებს უფრო ჰგავდა ვიწრო, ტალახიანი ქუჩებით, დუქნებითა და სამიკიტნოებით, ურმებით, ეტლებით, ვიდრე ქალაქებს.


ცხოვრება წინ წავიდა. ჩვენი ქალაქები და სოფლები გაიზარდა, გაღამაზდა. აშენდა ბევრი მრავალსართულიანი შენობა, სკოლა, თეატრი, კლუბი, საცხოვრებელი სახლი, სამკითხველო, კინოთეატრი...


საბჭოთა წყობამ გამოძერწა ახა-

ლი ადამიანი. ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ოციოდე წლის წინათ მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა. ყოველი მეხუთე მცხოვრები სკოლაში, ტექნიკუმში ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს. რესპუბლიკის ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის 38 უმაღლესდამთავრებული და 315 საშუალოდამთავრებული კაცი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა 131 ათასი, ხოლო ტექნიკუმებმა 120 ათასამდე სპეციალისტი გამოუშვეს.

ორმოც საბჭოთა წელში კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილმა ადამიანებმა სრულიად შეუცვალეს სახე რესპუბლიკას. განვითარდა ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა. ახლა საქართველოს აქვს მაღალგანვითარებული, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შეიარაღებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

ქვეყანა, სადაც ძველად წვრილმან ნივთებს თუ ამზადებდნენ, დღეს ისეთ ქვეყანად იქცა, სადაც მზადდება ფოლადი და თუჯი, მძლავრი ელექტრომაგლები და ავტომანქანები, ლითონსაჭრელი ჩარხები, ელექტრომოწყობილობა და სხვა რთული მანქანა-იარაღები, ფეროშენადნობები, ჩაი, კონსერვები, შალისა და აბრეშუმის ქროვილები და მრავალი სხვა სახის პროდუქცია. შეიქმნა სოფლის მეურნეობის სრულიად ახალი, ძვირფასი დარგები, რომლებიც ქვეყანას აძლევენ





საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისადმი მიძღვნილი მიტინგი თბილისში 1921 წელს.
მხატვ. რ. სტურუა

ჩაისა და ციტრუსებს, ტექნიკურ კულტურებს, ყურძენს, ხილსა და ა. შ.

უმაგალითოდ განვითარდა დიდი ისტორიისა და ტრადიციების მქონე ქართული კულტურა. დღეს საქართველოს აქვს მეცნიერებათა აკადემია, 160-მდე სამეცნიერო დაწესებულება. რესპუბლიკაში მოქმედებს 4.664 სკოლა—ერთი სკოლა ყოველ 870 მცხოვრებზე, ასამდე ტექნიკური და 18 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც 800 ათასზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს.

დიდია, გრანდიოზულია ჩვენი მიღწევები, მაგრამ კიდევ უფრო ბრწყინვალე და დიდებულია ჩვენი მომავალი. საქართველოს მშრომელები წარმატებით ასხამენ ფრთებს პარტიის მიერ შემუშავებულ შეიღწლიან გეგმას.

მ. ქოჩენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ქართული
საბჭოთა


Секретарь Члена Р. С. Ф. С. Р.
Революционного Военного Совета
Кавказского фронта
д. Красная Армия

განგებულად
მადლობა
წარმატებას
საბჭოთა
კულტურის
შედეგად!

მ. ქოჩენიძე

„ლენინს, სტალინს, თბილისში ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი ღროზა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

ეს დებუმა სერგო ორჯონიკიძემ 1921 წლის 25 თებერვალს გაუგზავნა ლენინსა და სტალინს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით.





მ. ი. წინინის ქაბჯი თბილისში

„გლაცით ქართველ კომუნისტებს
და სასოციალურად სექსუალურ რევოლუ-
ციას უფრო წინსვლა ჩემი მხურვალე სლა-
მი საქართველოსადმი“.
მ. ი. წინინი
1921 წ. 2 მარტი.

„თბილისში უკვე აღარ არის მენშევიური მთავრობა. სექსუ-
ალური დედაქალაქი თბილისი აჯანყებულთა, ხელშია, რევოლუ-
ციური მუშებისა და გლეხების ხელშია...
ახლა შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ კავკასიაში უვიკრება
ძმური საბჭოთა რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, სომხეთის,
საქართველოს წრე, შეწყდება კავკასიის ხალხთა ნაციონალური
მტრობა, საბჭოების ოჯახს შეუერთდება ახალი საბჭოთა რეს-
პუბლიკა.
სალამი თქვენ, ქართველო ამხანაგებო!
სალამი წითელ თბილისსს“
გაზეთი „მრამდა“
2 მარტი, 1921 წ.

ლენინი საქართველოში

ქალე ბობონია

სიცოცხლე აღარ მიღირდა გროშად!
ვსტიროდი, მამას ვგლოვობდი მაშინ,
და როს ვიხილე რევეკომის დროშა,
უმალ გავმხნევედი სოფლელი ბავშვი.

მომეალერსა მოხუცი გლეხი,
რადგან იცოდა, არ მყავდა მამა...
რევეკომში შევდგი პირველად ფეხი
და გამამხნევა იმავე ხმამა.

ის იყო ჩემი ნაცნობი კაცი,
მეთაურობდა მთავრობას ახალს;

მას დაუფასდა ბრძოლა და ღვაწლი,
მან ჩემზე ადრე ლენინი ნახა...

ჩანდა დროშიდან მღიმა რე სახით
სოფლის იმედად და გულის ნამად,
და იგრძნო ხალხმა ილიჩის ნახვით—
კაცობრიობის მზრუნველი მამა.

მეც ცნობილ კაცად ჩამთვალეს სოფლად,
თითქოს ცოცხალი მყოლოდეს მამა,
და გადმომძახა—არ ხარო ობლად,
იმავ მოხუცის ნაცნობმა ხმამა...

მაისის მზეო

ნაზი ქილასონია

მაისის დილა,
მაისის მზეო,
ცისარტყელების შუქით ინთები.
ააბიბინე ჩვენი კვირტები,
ააჟღურტულე ჩვენი ჩიტები.

ჭიაკოკონა შეუნთე ვარდებს,
სირმით მოქარგე ჩვენი დროშები.
დღეს საზეიმო სიმღერა გვმართებს,
გვტეკოთ, ამ ზეიმს ჩვენ არ მოვრჩებით!

გავხედოთ ქალაქს,
გავხედოთ სოფელს,
თავისუფლების მზით რომ თბებიან—
ჩვენი მამების სისხლი და ოფლი
გულზე ყაყაჩოდ შემონთებიან!..

ავახშიანოთ ჩვენი ნალარა
დილა ადრიან, დილა ადრიან,



ლენინის ძეგლთან თავი დავხაროთ
და ფიცი მივცეთ მშობელ პარტიას:

რომ სანამ ფეთქავს ჩვენი გულები,
რომ სანამ ფეთქავს ჩვენი მაჯები,
სამშობლო, შენთვის დავიხარჯებით,
მამულო, შენთვის გავისარჯებით.

რათა აეწიოთ შენი თაღები,
ავაყვავილოთ შენი ბაღნარი,
შენთვის ვიზრდებით,
შენით ვმალდებით,
და მტრედებივით თავზე დავხარით.

მაშ, კიდევ ერთხელ, მაისის მზეო,
ააელვარე ჩვენი დროშები,
და მამულს ამცნე:
ლხენით, ოცნებით
ასე მღეროიან შენი ნორჩები!

კავკასი - თბილისი

ქალაქი ჩიხაძისი

როგორც კი
დავადი
უბი აკასისა,
მეცხე მომავლისა
რომ მე
ქართული ვარ,
მინდარი,
ვახვევი,
და კიდევ რა ჰქვიათ?
მთა მთავრ,
მე მათი
სახლსუ შერევა...
დაიღ,
ქართული ვარ,
ახალი ნაივის
არც დაქრებულს მხარისა,
მე, შემაკალი ვარ
ერთ უღერაყის
საპოთა
დიდ მთა და პარია...

(6 ა ვ უ ვ ე ბ ი)

მე ვიყო უზღერდენ
უღესს და სამოთხეს,
მინდამ თუ ლექსადენტ ოცნებით,
ახლათ,
საქართველო ეღუბა გამოყვეს,
მანზე თუ გალობდენ გვიხნება...
დაიღ, ქართული ვარ
და ვის ქურუება
მინოდის მე კინტო,
მშველი და აშარი.
მე ველი—
საჯიგრა დასვექის ზურნებას,
სად კინტო იდვა და
კრბის ლმქინი...
აკატეს ცეცხ
მე ქართული კოტეჯს მადლიანს,

კარგი ეს ჩანვიც,
ზურნა და დირი,
მჯარამ ლენ წყურვიან
მე მათზე ადრთან
ქარხების სიმღერა
და კრანთა შარბი.

აშენე,
იმ ძველის
დანერეკაც მოასწრე
და ახალ საბოლღებს
ჩუღდე დარაჯად.
კახაბეცი
რომ საქმეს ეიღობდეს—
მოაძრე,
რა უშავს—
მისღებში
მანიც ხომ არა ნანს.

თარგნა ირაკლი ახაშინებ

ქართულ პეპერებს

ს. პაჩაია

ქართული ვმწველიყო,
შორელი ზოლი ვარ,
მეგობარი მოვდივარ,
ქარს მოვხნდე ვერბი,
კაცასის თოვლიან
მწვერვალზე მოვდივარ,
მომაქვს ბევრი მოკობთვა,
მზიარული ზღაპარი.

თუშვა თქვენთვის ზღაპარი
რა ახალი ხილია,
თითონ კაცასისა
უძველესი ზღაპარი.

ორკვლეო თქვენი სა
კოვლი და ლხინია
და თქვენს მიერ ვწვდივებ
წემოდელი მთა-მარი.

თქვენს ძველ მხარეს სალაში
ახალ მწერი ვაქაშებს!
აღარ მწერი ვწრევა
ძველსაძველი ქრილობა.
უძღერან დღეები
რუსთაველის ვაკეკენს
და ბოლშევიკ მამათა
ჯერ არანაულ გმირობას.

თარგნა
გ. გოგიაველი

ნილოზ ხაბოლია

საღამო ჩემი საქართველოც, მაღლი ზენს სახლს,
რამდენ ქართულს გამოვიღო, რამდენ წამებს,
საღამო ზენს ზურგს, ზენს მინდვრებზე ტრაქტორის ძახლს
და ჩოგურებში ავიღებულ წესიღებებს!
საღამო, მშო იმერული, საღამო შოგო,
მტკიცე ქანდაკელი და ენების მამაც კახელი,
საღამო მწველი იაქნითი დაზრდილი მშესი,
საღამო ეკლესი, ვინც ახლა ვერ დავასახლო!
საღამო ამა კაცასისს, ვიდას ზურნა
მოგბის გერგვინი და მინვარათა ელვა პირველი;
საღამო, ვისაც ჰგონებდა მოუძღვინა
რუსთაველის მთა წარმოცო და ვააკვირელო!
ჩამოდის დამე, მოსდები: მიღასასრული
მკბეის მირიან სიღაღამდე თვითულ ბობს,
მღერის ზურნეში ჯერბითი ქარანგმირბრული
და მთი ხაალი ბარისახოს ზღუდესთან ბრწინადს.
შორელი მოგეშო მწერვარეში კოშკების გვერდით
სდგანან წყნებო, სადაც მინა დახდენ დარბოება,
გაფიცის ბუცი და სვანურ მზის, თოვლიან მკერდით,
ეკლესი ელფარვი თანხმან ბანს უწნება.

ქართულ ძმებს

ნანი ხაზარი პაჩაია

ქართული ხალხი,
იდათავე მშობა გაქვს თქვენთან!
ქართული ძმებო,
სიყვარულით ვიყურები შედამ!
ჩვენს მგებობას
მგებლობა სწავლავს ზურნა,
მტრობა და შერი
იმათივე ორივეს გვეღელდა!
ჩვენი ერთობა
შეიღრება რუსთავეის ფოლადს,
აზრბათჯანს
მშურად ეცვრის მინა ქართული.

ჩვენს ხალხებს ერთად
გარდებდათ მომღეროთა ბრძოლა,
ჩვენი მამებიც
ერთად იდებენ ხმაღმწამოღონი.
მშობას, სიყვარულს
დაუსტრია ელვას სივრცე,
ვალს შეიღობის სისაბოლო
ველვა მარტო.
იგი—რუსთავეის ფოლადით
მყრი და მტკიცე,
მინდვრის მინვარათით
უბო და ვარით!

აზრბათჯანულიდან თარგნა
ლილა ერაქებ

თარგნა ი. მთხვარი

მზიურ საქართველოს





თებერვლის მზე დასავლეთისკენ იხრებოდა.

ზღვის პირას, გემთშემკეთებელ სახელოსნოს ეზოში ფეხი შედგა მენშევიკური გვარდიის ტანადმა, სუფთად გამოწყობილმა ახალგაზრდა პოლკოვნიკმა ვახტანგ ფალავანდიშვილმა და იკითხა:

— ვინ არის აქ?

ფიცრულ, ერთსართულიან კანტორის შენობიდან ძალზე გამხდარი, შუახნის კაცი გამოლასლასდა.

— შენი სახელი? — მიმართა პოლკოვნიკმა.

— ილარიონი, ბატონო.

— შელამებამდე კანტორაში დარჩები, ჩვენი ოფიცრებისა და ჯარისკაცების გარდა აქ არავის შემოუშვებ. რომ დალამდება, სახელოსნოს ტერიტორიაზე არ გნახო, თორემ დაგხვრეტ. გასაგებია?

— გასაგებია.

— სახელოსნოს გასაღები ჩამაბარე.

პოლკოვნიკმა გასაღები გამოართვა, ჯიბეში ჩაიღო, ილარიონს ზურგი აქცია და წავიდა.

ილარიონის ცხრა წლის ვაჟიშვილი სიმონი კანტორის წინ ქალაღდის ნაგებს აკეთებდა, შიგ კენჭებს ყრიდა, ნავს ზღვაში შეაცურებდა, მერე ქვას ესროდა და ლუპავდა.

— საცაა დალამდება, წადი, შვილო, შინ, დედაშენი ალბათ გელოდება, — უთხრა შვილს ილარიონმა.

— შენც წამოდი, მამიკო.

— სახელოსნოს გამგე ვარ, შვილო, ამხელა ქონება მე მამბარია, მივატოვო?

— მაშ, არ აპირებ წამოსვლას?

— წამოვალ, მაგრამ გვიან.

— მეც გვიან წამოვალ, შენთან მინდა ვიყო.

— კარგი, შვილო. ილარიონი შავმა ფიქრებმა შეიპყრო.

რატომ გამოართვა პოლკოვნიკმა სახელოსნოს გასაღები? ძვირფასი მანქანები ხომ

არ უნდა ააფეთქონ? მართალია, დღეს ან ხვალ ბოლო მოეღება ვაჭრებისა და თავადების პარაზს, ისინი საფრანგეთის ნაღმონებს ელოდებიან, რომ ჩასხდნენ შიგ და უცხოეთში ამოჰყონ თავი, მაგრამ გამგზავრებამდე კვლავ ეცდებიან ხალხს აენონ რამე.

ბინდსა და ბურუსში რომ იძირებოდა ნავსადგური, სახელოსნოს ეზოს რკინის დიდ კარს თეთრი თუნუქის ყუთებით დატვირთული ფორანი მოადგა. ფორანს თან მოჰყვინენ ჯარისკაცები და ოფიცერი. ჯარისკაცებმა თუნუქის ყუთები ნაპირზე შესაკეთებლად ამოთრეულ ქარჭაპებზე, კატარღებსა და მებაღურთა ხომალდებზე დააწყეს, ოფიცერმა კი რალაც საგანი ამოიღლიაგა, სახელოსნოს დიდი, მაღალი შენობის ფართო კარი შეაღო და შიგ შევიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა, ხელყუმბარებითა და შაშხანით შეიარაღებულ ვეება ჯარისკაცს უთხრა: — გუშავად შენ გტოვებ, ელგუჯა, პოლკოვნიკი მხოლოდ შენ გენდობა, ეს უნდა დააფასო. — დანარჩენს კი უბრძანა: ყაზარმისაკენ გასწიეთო.

უიარაღო ჯარისკაცები სახელოსნოს ეზოს გაეცალნენ ბუტბუტითა და გინებით. ილარიონმა გაიგონა ერთ-ერთი ჯარისკაცის ნათქვამი:

— ხომ არ უნდა გადაწვან აქაურობა, ამ რჯულძაღლებმა.

სახელოსნოში ლანდივით შემოიპარა კოჭლი, დაბალი კაცი. ილარიონი იცნობდა მას. იგი ჯერ მეფის ოხრანკაში მუშაობდა ჯაშუშად, მერე მენშევიკებს ემსახურებოდა. ჯაშუში ოფიცერთან მიჩლახუნდა. ოფიცერი და ჯაშუში ერთ ხანს ხმადაბლა თათბირობდნენ. მერე ოფიცერმა ჩქარი ნაბიჯით გასწია სახელოსნოს კარისაკენ, თვალი გადაავლო კანტორის ფანჯრებს და, რადგან იქ შუქი ვერ დაინახა, გადაწყვიტა — ილარიონი წასულაო, რკინის კარი გააღო და გაუჩინარდა.

აფორიაქებული ილარიონი ფანჯარას არ შორდებოდა, თუმცა უკვე ვეღარ ხედავდა გუშავს და ჯაშუშს. სიბნელე თანდათან ნთქავდა ყოველივეს.

— მამა! რაღას უცდი? წავიდეთ!

ილარიონმა ამოიოხრა.

— წავიდეთ, შვილო.

ამ დროს კანტორის კარმა გაიჭრიალა.

— აქა ხარ ბიძია?

ილარიონი მიტრიალდა. ჯარისკაცის მძიმე ფეხსაცმელმა თხელი იატაკი აახმიანა.

— კი, აქ ვარ.

— შენ ხარ ხომ სახელოსნოს გამგე?

— მე გახლავარ.

— ხომ იცი, რა ელის შენს სახელოსნოს?

— არ ვიცი, გული კი კარგ რამეს არ მეუბნება.

ესა თქვას საქართველოზე

„ქართველი ხალხი თავისი კულტურით ერთ-ერთი უძველესი ხალხია. იგი ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ხალხის კულტურა ჩაისახა ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ხანაში. იგი კითარდებოდა მსოფლიოს უძველეს და უახლეს კულტურათა ურთიერთშემოქმედებაში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ერთ კულტურას არა აქვს ისეთი გრძელი ისტორია, როგორც ქართულ კულტურას. მე პირადად ყოველთვის აღტაცებული ვიყავი საქართველოს სიძველეთა — ქართული ხელოვნების, ქართული ლიტერატურის ძეგლებით.“

მ. კალინინი

„ჩემი სამშობლოა — სოფელი ბაღდადი, ქართველი.“

მ. ვაიკოძისკი

— ათი საათი რომ შესრულდება, ნავთი და ბენზინი უნდა გადავასხათ კატარლებს, ხომალდებს, სახელოსნოს, და ცეცხლი უნდა წავუკიდოთ. თერთმეტ საათზე ნავსადგურში შემოვლენ საფრანგეთის ნაღმოსნები, თავადები და ვაჭრები შიგ ჩასხდებიან, მერე ნაღმოსნები ყუმბარებს დაუშენენ აღმოდებულ სახელოსნოს და დაღვწავენ. ხომ გესმის?! სახელოსნოში, დიდ მანქანებთან ასაფეთქებელი ნივთიერებაა. მანქანები უნდა ააფეთქოს კოჭლომა კაცმა, მე კი კარკაპები და ხომალდები უნდა დაღვწავა. კოჭლი კაცი გავბაწრე, პირში ცხვირსახოცი ჩაეტენე და სანაგვე ყუთში ჩავაგდე. ათი საათისათვის მე თუ ცეცხლი არ წავუკიდე აქაურობას, სხვა მოვა და ის გააკეთებს ამ საქმეს. მე ჯერ გაპარვა გადავწყვიტე, მაგრამ ეს ხომ გამოსავალი არ არის! ვინმე ოხერი მაინც დასწვავს! შენი შვილი სახელოსნოს ეზოს კართან

დადგეს. აქეთ მომავალი ვინმე თუ შენიშნა, სტვენით გვაცნობოს. დანარჩენი მე ვიცი, მომყევი.

სიმონი რკინის კართან დააყენეს.

— მე ხომალდებიდან და კატარლებიდან ჩამოვიტან ბენზინსა და ნავთს და მიწაზე დავაქცევ, შენ სახელოსნოს მიხედე, ასანთი არ აანთო.

სახელოსნოში ილარიონმა მანქანებთან მოაფათურა ხელი, სახით ბიკფორდის ზონარს შეეხო და ფრთხილად აიტანა. აქანკალე-ბული ხელი ზონარს გააყოლა. ზონარი ხის ყუთში მდებარე რალაც მკვირვ საგანს უერთდებოდა. ყუთი ნელა ასწია, კარისაკენ გაემართა. უცებ რკინის დიდ ნატებს ფეხი წამოსდო და წაბარბაცდა, ყუთი კინლამ ხელიდან გაუფარდა. ცივმა ოფლმა დაასხა. სული მოითქვა და გზა განაგრძო. აი, უკვე დატოვა სახელოსნოს შენობა, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და—მერე ზღვია. წყალში შესტოპა ილარიონმა, ფსკერ-

ზე ფრთხილად დადო საშინელი ტვირთი და განუზომელი სიხარული ძვალსა და რბილში გაუჯდა.

ილარიონმა სტვენა გაიგონა. წყალი გააპო, ნაპირზე ამოვიდა, სიცივისაგან აცახცახდა, სველი ტანისამოსი ტანზე შემოეტმასნა. სიმონთან რომ მიიბრინა, ჯარისკაცი იქ დახვდა, მას თავისი საქმე გაეკეთებინა და სიმონს აქებდა:

— ჩინებული სმენა გქონია, ბიჭიკო, არავინ ჩანს, მაგრამ ფეხის ხმა ისმის.

ილარიონი, ჯარისკაცი და სიმონი ლიანდაგს დაადგნენ, ლაპარაკს ყური მოჰკრეს და გაუხვიეს, ნახევრად ჩამოქცეულ ცარიელ საწყობს თავი შეაფარეს. ჯა-

„შეიძლება ვიფიქროთ, რომ სახელოსნო საქართველოში აღმოჩენა ბუნებამ, მისი ხალხი რომელიმე მალმოხიერებამ, — სახელოსნო ამ ორმა ძალამ მომცა ბიჭი, რომელმაც მოხეტიალიდან—ლიტერატორი წარმოქმნა“.

მ. ბ რ კ ი

„ზევრ ძველ ინდურ ანდაზებში და თქმულებებში იხსენიება საქართველო. გადმოცემაც კი არის, რომ ინდოელები წინათ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ამბობენ, რომ ადამი ცხოვრობდა თქვენს შესანიშნავ ქვეყანაში, რომელიც სამოთხედ ითვლება. დამახასიათებელია, რომ ინდოეთში ცნება „ლაშაზი“ და „ქართული“—სინონიმებია. თუ ჩვენში უნდოდით რისიმე შექმნა ან მაღალი შეფასების მიცემა, ამბობდნენ: „ეს—ქართულია“.

პ რ ი შ ა ნ ჩ ა ნ დ რ ი, ინდოელი მწერალი.

„შოვილი და ვიცილი, რომ საქართველო იყო უძველესი კულტურის ქვეყანა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით. რომდენიმე დღე აქ ყოფნის შემდეგ კი დავრწმუნდი რომ საქართველოს მართლაც აქვს საამაყო. მუზეუმებში გავვეცანი უძველეს ქართულ ხელოვნებას. დავათვალიერე ქალაქი ყოველის მხრიდან შემოსაზღვრული მთებით, და ფიქრით შორეულ იაპონიას დავუბრუნდი — ასეთსავე უძველესსა და ხატოვანს“.

ტ ა ტ ი თ კ შ რ ო დ ა, იაპონელი მწერალი.



...— რომ დაღამდება, სახელოსნოს ტერიტორიაზე არ გნახო, თორემ დაგხვრეტ!



ილარიონმა ყუთი წელა ასწია და კარისაკენ გაემართა.

რისკაცმა მაზარა გაიხადა და ილარიონს ჩააცვა — დასველებული ხარ, ცოტა გათბიო.

— მე ჭალადიდელი გლეხი ვარ, — ამბობდა ჯარისკაცი. — ტყე-ტყე ვივლი, ჭაობებს გადავცურავ და ერთ საათში შინ ვიქნები, მაგრამ თქვენ რა გიყოთ? აქ დაგტოვოთ? სახელოსნოში რომ შებრძანდებიან და ცარიელ ჭურჭლებსა და გაბაწრულ კოჭლ კაცს ნახავენ, თქვენს ძებნას შეუდგებიან, ბიძია, თქვენზე იყრიან ჯავრს.

— ამ კაციჭამია მენშევიკების ისეთი დიდი ნდობა რით დაიმსახურე, რომ სახელოსნოს აოხრება დაგავალეს? — მიაჩერდა ილარიონი ჯარისკაცს.

— პოლკოვნიკის ოჯახს ვემსახურებოდი, მისი დენშჩიკი ვიყავი, ჩემო ბიძია. ისეთი სროლა ვიცი, გაჭენებულ ცხენიდან ცაში მონავარდე შევარდენს ჩამოვადებ. მკლავი მაგარი მაქვს. ოფიცრები რომ დათვრებოდნენ და აყალ-მაყალს ასტებდნენ, პოლკოვნიკი თვალით მანიშნებდა — შენებურად გაუსწორდიო. მეც ეს მინდოდა, ერთ ოფიცერს რომ შემოვკრავდი, სხვები

მწყრებს დაემსგავსებოდნენ. პოლკოვნიკმა სახელოსნოს დაწვა რომ დამავალა, მაშინ კი გული მომივირია და ვა ვიფიქრე: ამას კი ვერ შევისრულებ-მეთქი.

— ელგუჯა! — შეშფოთებული კაცის მრგვინაგმა ხმამ სიტყვა შეაწყვეტინა ჯარისკაცს.

— ოფიცერი მიხმობს, — ჩაეცინა ჯარისკაცს.

— დაუყოვნებლივ მონახეთ სახელოსნოს გამგე და ელგუჯა, დახვრიტეთ! — ღრიალებდა ვილაც.

— პოლკოვნიკო, დახვრეტას გვიპირებ? ვაი, შენს პატრონს! — ჯარისკაცი მთასავით წამოიძვარა. იგი სულგანაბული კარგა ხანს უსმენდა, იქნებ კიდევ რამე გავიგონოო.

უცებ უცნაური შუქი ათამაშდა ნავსადგურში და ჩაქრა. ეს ნავსადგურში შემოჭრილი საფრანგეთის ნაღმოსნების პროექტორის შუქი იყო. ორი ნაღმოსანი ელნათურით განათებულ გემთმისადგომს უახლოვდებოდა. ნაპირზე თავმოყრილი ვაჭრები, ჯაშუშები, მენშევიკური ხელისუფლების მეთაურები, რამდენიმე სამხედრო პირი, მათი ცოლები და შვილები ცხვირსახოცების ფრიალითა და ხმამაღალი შეძახილებით ეგებებოდნენ ნაღმოსნებს. ყველაზე მეტად ხმაურობდა სახელოსნოდან ნაღმოსნებამდე გაქცევით დაღლილი და გაოფლიანებული პოლკოვნიკი. იქვე იყო მისი ცოლი და ორი წლის ვაჟიშვილი.

ნაღმოსნები ნაპირს ქიმიტ მიადგნენ; იხუვლეს ქალებმა, ბავშვებმა, ვაჭრებმა, ჯაშუშებმა, გენერლებმა, მენშევიკების მეთაურებმა, გემბანებზე აცვივდნენ. ისინი ეხვევოდნენ მეზღვაურებს, კოცნიდნენ, დროგამოშვებით ნაპირისაკენ იყურებოდნენ, მუშტებს იქნევდნენ და იმუქრებოდნენ: უცხოეთის ჯარის შემწეობით ჩვენ ისევ დავბრუნდებით საქართველოში და შურს ვიძიებთო.

ნაღმოსნებმა გეზი აიღეს ნავსადგურის კარისაკენ. მაშინ ჯარისკაცმა თოფი დაუმიზნა ნაღმოსნებს, ხუთჯერ ესროლა და სიხარულით თქვა:

— ესეც თქვენ, ყაჩაღებო, ქურდებო, არამზადებო!

ქალაქში ბოლშევიკების ჯარი შემოდოდა, ქუჩებში გამოფენილი ხალხი ყვავილებს ესროდა საბჭოთა უძლეველ კავალერიას.



საგემო

მუსიკა რევაზ ლალიძისა



ეროვნული
შინაგონი

ტექსტი პ. გრუზინსკისა

Marchale

1 ყველ-გან მზე-ა შინ და გარეთ და გულშიაც მზე არი
2 რომ თბილისი და ი-ღვაროს ვარ დე ბადა ი-ე-ბადა

მღვ-ს ა-ხალი საქართველოს და-ბადების დღე არი
ყვ-ვი-ვი გა-ზაფხული რო-გორ გვა-ბი-ე-ბა

მე-ი ტა-ნეთ ყვა-ვი-ვები ბევ-რი და ს-ვა-ლა-ვი
მზე-ს შინ და მზე-ს გარეთ და გულშიაც მზე არი

მღვ-ს ყვა-ვი-ვილოდ დღეს ქუჩაში არ გამოჩნდეს ა-რა-ვინ
ა-ხალი საქართველოს და-ბადების დღე არი

მღვ-ს ა-ხალი საქართველოს და-ბადების დღე არი

ყველგან მზეა შინ და გარეთ
და გულშიაც მზე არი,
დღეს ახალი საქართველოს
დაბადების დღე არი.


მოიტანეთ ყვავილები
ბევრი და უთვალავი,
უყვავილოდ დღეს ქუჩაში
არ გამოჩნდეს არავინ,—

რომ თბილისში დაიდვაროს
ვარდებად და იებად,
უყვავილო გაზაფხული
როგორ გვებატობა...

მზეა შინ და მზეა გარეთ
და გულშიაც მზე არი,
დღეს ახალი საქართველოს
დაბადების დღე არი.



პირველი პიონერები



სურათები პირველი პიონერული რაზმის ცხოვრებიდან

მათაც თქვენსავით აღისფერი ყელსახვევი ეკეთათ მკერდზე, წკრი-ალა სიმღერა და ჟივილ-ხივილი უყვარდათ, თქვენსავით მუყაითად სწავლობდნენ გაკვეთილებს, ცდილობდნენ კარგი ქცევით ესახელებინათ სკოლა და აღმზრდელები. ერთი სიტყვით, ისინიც ჩვეულებრივი ბავშვები იყვნენ, მაგრამ მათ ცხოვრება მოუხდათ იმ რთულ და საინტერესო წლებში, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მძიმე ჭრილობებს იშუშებდა და ახალი ცხოვრების—სოციალიზმის მშენებლობას იწყებდა. იმ დიდ სახელმწიფო საქმეში მთელი გატაცებითა და მონდომებით მშობლების გვერდით ხალხთან იყვნენ პიონერები.

ხმაურობდნენ ვაგონის ბორბლები, ღრიამული იდგა მთელს მატარებელში, რომელიც ნიჩბებითა და წერაქვებით შეიარაღებული ხალხით იყო სავსე.

უამრავი ხალხი იყო იმ დღეს ავჭალის მიდამოებში. თითქმის მთელი თბილისი გამოსულიყო შაბათობაზე და, რასაკვირველია, ბავშვებსაც არ მოუთმინა გულმა. უფროსებმა უარი უთხრეს: პატარები ხართ, დაიღლებითო, მაგრამ მათ მაინც თავისი გაიტანეს ახლა, დაკოყრილი ხელებით, დაღლილნი, მაგრამ ამაყად სხედან ვაგონში და თბილისში ბრუნდებიან.

მიაბიჯებენ საღამოთი დედაქალა-

ქის ქუჩებში, მაღლა აუწევიათ ნიჩბები და წერაქვები — ყველამ, დაე, ყველამ დაინახოს, ისინიც იყვნენ ზაქვისის პირველ შაბათობაზე, მათაც მოუსმინეს სერგო ორჯონიკიძეს, მასთან ერთად დაჰკრეს პირველი ბარი...

მეორე დღეს კი კვლავ მშობლიური რკინიგზის დეპო, ნაცნობი წითელი კუთხე და კომკავშირელი მეგობრები, რომლებიც პიონერულ კოლექტივს ხელმძღვანელობდნენ. ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ მოდიან აქ პიონერები, ორთქლმავლების გუგუნში კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, აფორმებენ თავიანთ კუთხეს, ემზადებიან ეზოებში ანტირელიგიური საღამოების ჩასატარებლად...

— წავედით! — შესძახებენ ორთქლმავლების ბორბლებს შორის მომუშავე ახალგაზრდებს და ხტუნვა-ხტუნვით გაუყვებიან ქუჩებს. მცირე ხანიც და, რაოდენ შეიცვლება ასკინკილათი მოხტუნავე ბიჭებისა და გოგონების სახის გამომეტყველება, როდესაც გადაშლილ ანბანს ჩაუჯდებიან.

— აი, ასე იწერება „ა“! ასე იწერება „ბ“! — უხსნიან მოხუცებს.

აბა, რა გააჩერებდათ, როდესაც შეიტყვეს, კომკავშირელები მოხუცებს წერა-კითხვას ასწავლიანო. მათაც მონდომეს და შეუპოვრებმა ნებაბართვაც მიიღეს. ახლა ყოველ მათგანს ჰყავს მოწაფე, ყოველი მათგანი მონაწილეობს იმ დიდ ლაშქრობაში, რომელიც წერა-კითხვის უტოდინარობის ლიკვიდაციისათვის გამოაცხადა პარტიამ.

შენდებოდნენ ქალაქები და სოფლები, ჭრილობებს იშუშებდა ნაომარი ქვეყანა. ყველგან იყო საპირო დიდძალი მიწა. მიწა! — მოითხოვდნენ ფაბრიკა-ქარხნები, მიწა! — მოითხოვდნენ ახალმშენებლობები...

აკლდა ბოთლები ბორჯომის მინერალური წყლების ქარხანას, საფრთხეში იყო საწარმოო გვემის შესრულება. აკლდათ პატარა შუშები აფთიაქებს, ძნელდებოდა წამლების დამზადება... და აი, მოულოდნელად გავარდა ხმა — იქნება ბოთლები! იქნება წამლის შუშები! საქმე არ შეფერხდება! — ამას ამბობდნენ პიონერები.



ეზო-ეზო დადიოდნენ ნორჩები, ჩადიოდნენ სარდაფებში, ადიოდნენ სხვენზე, არ ერიდებოდნენ მტკვრსა და დალლას, აგროვებდნენ მინის ჭურჭელს.

რამდენიმე დღის შემდეგ კი რკინიგზის დეპოს მუშები მოზრდილი ვაგონის დატვირთვაში ეხმარებოდნენ პიონერებს და, როცა ვაგონი მატარებელს მიაბეს, აგუგუნდა მუსიკა, გაისმა ბავშვების ჟრიამული. ვაგონზე გაკრულ წითელ ქსოვილზე თეთრი ასოებით ეწერა: „ბორჯომის მინერალური წყლების ქარხანას, თბილისის რკინიგზის დეპოს პიონერული კოლექტივისაგან“.

წავიდა მატარებელი, რამდენიმე დღის შემდეგ კი ქარხნიდან მოვიდა დეპოში მუშური მადლობით. იგი წითელ კუთხეში, თვალსაჩინო ადგილას გამოაკრეს ბავშვებმა, ლენინის რაიონის მთავარი აფთიაქის სამადლობელი წერილის გვერდით. წერილი კედელზე ეკიდა, წამლების გაცემისას კი მოხუცი პროფიზორი ღიმილით ამბობდა - იცით, ეს უშუშები პიონერებმა მოგვიტანეს, ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე ახლა ისინიც დგანან!..

* * *

მატარებლიდან გადმოსულებს სადგურზე ორთვალა ან საზიდარი არ დახვედრიათ — არავის გაკვირვებია — კარგად იცოდნენ სოფელში ყოველი, ცხენი სათვალავზე იყო აყვანილი და მას ვერ მოაცდენდნენ.

ხანდაკისაკენ მიმავალ გზას ფეხით გაუყვნენ. სოფელი ბავშვები გატაცებით უამბობდნენ ქალაქელ მეგობრებს ახლადჩამოყალიბებული კოლმეურნეობის პირველ მიღწევებზე, პირველ საქმეებზე — კარგ დროს ჩამოხვედით, დღეს თესვაში ვეხმარებით უფროსებსო...

ერთად, მუყაითად შრომობდნენ მინდორში, დავიღალეთო არავის წამოცდენია; ხოლო შებინდებისას, როდესაც ქოხ-სამკითხველო კოლმეურნეობითა და გლეხებით აივსო, ქალაქელი პიონერების აგიტბრივადამ კონცერტი დაიწყო.

— დღეს ჩვენ ლამის შუქზე გამოვიდვართ, მაგრამ სულ მალე ილიჩის ნათურები აციმციმდებიან! — ასე დაიწყო საუბარი ნორჩმა აგიტატორებმა.

თბილისელები ხშირად ჩამოდიოდნენ ხანდაკში, სოფლის პიონერებთან. ეხმარებოდნენ ქოხ-სამკითხველოს მოწყობაში, კონცერტების გამართვაში, ერთად ანთებდნენ ხუთმუგუზლიან პიონერულ კოცონებს, სწორედ ისეთებს, როგორც პირველ პიონერთა ყელსახვევის შესაკვრელზე იყო გამოხატული.

* * *


მოხუცები ბუზღუნებდნენ, ღვთის რისხვით აშინებდნენ ბავშვებს; მაგრამ მათ უკან არ დაუხვეიათ, ყველა დაესწრო ეკლესიისათვის ჯვარის მოხსნას. მცირე ხნის შემდეგ კი ეკლესიის გადაკეთებულ შენობას ახალი წარწერა დაამაგრეს — „ლენინის რბიონის პიონერთა კლუბი“.

აქ იკრიბებოდნენ საწარმოებთან შექმნილი პირველი პიონერული კოლექტივების წევრები, აქ სწავლობდნენ აირწინალის ხმარებას, მართავდნენ კონცერტებს და აგროვებდნენ „ინტერნაციონალურ შაურებს“ კაპიტალისტური ქვეყნების ბავშვთა დასახმარებლად. აქ დაიბადა იდეა შეეგროვებინათ თანხები თვითმფრინავის — „საქართველოს პიონერის“ შესაქმნელად.

„ბოიკოტი კერძო ვაჭრებს! იყიდეთ საქონელი მხოლოდ მუშათა კოოპერატივში!“ — ასეთი ლოზუნგით აწყობდნენ პირველი პიონერები სააგიტაციო გამოსვლებს მოსახლეობაში.

„დაიცავით ჰიგიენის წესები!“ — ასეთი იყო შემდეგი დილის თემა...

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების ყოველ დიდსა თუ პატარა საქმეში შექმნიდათ წვლილი პირველი პიონერული კოლექტივების წევრებს. ეს კოლექტივები მაშინ წარმოება-დაწესებულებებში იყო შექმნილი და პიონერებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ დიდ, სახალხო საქ-



მეებში. თაობიდან თაობებს გადმოსცეს მათ თავიანთი დევიზი „მუდამ ხალხთან ერთად!“ ეს დევიზი დღესაც ცოცხლობს და გზას უნათებს საბჭოთა პიონერიას.

* * *

„რკინიგზის დეპოსთან არსებული პიონერული კოლექტივის წევრებს ძალიან უყვარდათ თავმოყრა ორთქლმავალზე, იქ სადაც მათი ახლო მეგობრები და უშუალო ხელმძღვანელები მუშაობდნენ. დგებოდნენ ორთქლის ქვების გარშემო, ავიდოდნენ საფეხურებზე, ტენდერზე, გაშლიდნენ წითელ დროშას და ასე ატარებდნენ საზეიმო ხაზს.

პირველმა პიონერებმა კარგა ხანია მოიხსნეს წითელი ყელსახვევი. ვინ არიან ახლა ისინი? მოწინავე რკინიგზელები, მუშები, ექიმები, ინჟინერები, აგრონომები... ვინ მოსთვლის სად არ ემსახურებიან სამშობლოს. სხვადასხვანაირია მათი ხასიათი, მაგრამ ერთია სწრაფვა — ემსახურონ ხალხს... ეს სწრაფვა მათ ხომ პიონერთა ორგანიზაციამ ჩაუნერგა.

და აი, მომავალ გაზაფხულზე, როდესაც ნორჩ ლენინელებთან ერთად მთელი ჩვენი დიადი სამშობლო აღნიშნავს პიონერთა ორგანიზაციის სახელოვან 40 წლისთავს, პირველი პიონერული რაზმის წევრები მივლენ იქ, სადაც დაიწყო მათი ნამდვილი ბავშვობა, მოინახულებენ ნაცნობ მიდამოებს და საყვარელ და ახლობელ ორთქლმავლებზეც ავლენ. აქ შეხვდება პიონერთა ორი თაობა.


გურამ ბახმაძე

ნახ. ედ. ამბოკაძისა

„ქოხანიზი“ ეს არის საბჭოთა ხელი-სუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია». ვ. ი. ლენინის ეს ცნობილი გამოთქმა საფუძვლად დაედო ჩვენი ქვეყნის ელექტრომეურნეობის განვითარებას. სწორედ ორმოცი წლის წინათ იქნა მიღებული რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმა—გოელრო. ამ გეგმით 1927 წელს საქართველოში აშენდა პირველი ჰიდროელექტროსადგური—ზაპესი. ამჟამად საქართველო „თეთრი ნახშირის“ მარაგით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ოთხი ათეული წლის განმავლობაში რესპუბლიკაში აშენდა რამდენიმე ათეული მსხვილი და ასობით საკომლემენტური და სასოფლო ჰიდროელექტროსადგური. მთელი რესპუბლიკა ამაყოფს ისეთი მსხვილი ჰიდროელექტროსადგურებით, როგორცაა ზაპესი, რიონჰესი, ხრამჰესი, გუმბათჰესი, ლაჯანურჰესი და სხვ.



ღაბი ოჩხამურში ქობულეთის მახლობლად. მუშაობს საბჭოთა კავშირში ერთადერთი ტუნგოს ქარხანა ტუნგოს ხე დასაყვლად საქართველოშია გავრცელებული. მისგან დამზადებული ლაქით შეღებილი საგანი დიდხანს არ კარგავს თავიდანვე მიღებულ პრიალა და ლამაზ ელფერს. ტუნგოს ზეთზე არ მოქმედებს მტავე ან მლაშე წყალი. არ ატარებს წყალს, ჰაერსა და ელდენს ამიტომ მას განსაკუთრებით დიდი გამოყენება აქვს ავტო და ავია მრეწველობაში. საქართველო ტუნგოს ზეთის ერთადერთი მწარმოებელია საბჭოთა კავშირში.



საქართველოში ორმოცი წლის მანძილზე განვითარდა ბამბულის, შალისა და, განსაკუთრებით, აბრეშუმის მრეწველობა. შვიდწლედის ბოლოსათვის რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის საწარმოები დაამზადებენ 108 მილიონ მეტრს ქსოვილს. ეს სიგრძე 2,5-ჯერ აღემატება ეკვატორის სიგრძეს. 1965 წელს საქართველოში თითოეულ სულ მცხოვრებზე დამზადდება 21 მეტრი ქსოვილი (1913 წელს—2 მეტრი თითოეულ სულ მცხოვრებზე).

ქველ საქართველოში ჩაის თითო-ორთა ბუჩქი იყო გავრცელებული. 1913 წელს საქართველოში მოიკრიფა 542 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. 1959 წელს კი ამ ციფრმა 140.000 ტონას მიაღწია. შვიდწლედის ბოლოსათვის საქართველოში მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლის რაოდენობა ასტრონომიულ ციფრს—200 მილიონ კილოგრამს მიაღწევს, ამის შედეგად საქართველო მსოფლიოში ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის მეოთხე ადგილზე გამო-




ვა ცვილონის, ინდოეთის და ჩინეთის შემდეგ და სახეებით დააკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის მთელ მოთხოვნილებას ჩაიზე.

1910 წელს ამერიკელმა სპეციალისტმა ბენტონმა დაამტკიცა, რომ ქართული რუხი მთის ფუტკარი მსოფლიოში საუკეთესოა. მას შემდეგ საფუძველი ჩაეყარა ქართული ფუტკრის ექსპორტს. თვით ა. შ. შატაბეში პირველი მსოფლიო ომის წინ რამდენიმე ათასი დედა-ფუტკარი იქნა გაყვანილი. ამჟამად რესპუბლიკაში შექმნილია ქართული ფუტკრის სადედეები—სოხუმს, ჩხოროწყუს, სიღნაღს, დუშეთსა და ხარაგაულში. საქართველოდან ყოველწლიურად ათასობით ფუტკარი გადის საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მეფუტკრეობის რაიონში.




1913 წელს საქართველოში ამოღებული იქნა 70 ათასი ტონა ქვანახშირი, ე. ი. საშუალოდ დღეში 190 ტონა. 1960 წელს მთელი რესპუბლიკის მალაროები ყოველდღიურად იღებდნენ 9 ათასზე მეტ ტონა ქვანახშირს, ე. ი. 45-ჯერ მეტს ვიდრე 1913 წელს.

1965 წელს კი ქვანახშირის დღიური მოპოვება თითქმის 12 ათას ტონას მიაღწევს, მაშასადამე, ყოველ 6 დღეში საქართველოში იმდენი ქვანახშირი იჭებება ამოღებული, რასაც მთელი წლის განმავლობაში იძლეოდა ძველი საქართველო. მარტო გასულ წელს მოპოვებული ქვანახშირი ერთ გროვად რომ დავაყენოთ, იგი ქეოფსეს ცნობილი პირამიდის მოცულობას 1,5-ჯერ გადააჭარბებს.



უეაკგანეხორ მეტალურგიას არსებობა არ შეუძლია. მთელ მსოფლიოში თავისი ხარისხით ჭიათურის მარგანეც ბაღალი არა ყავს. საბჭოთა კავშირში კი ჭიათურა პირველ ადგილზეა მაღლის ხარისხით. მოპოვებითა და სამუშაოთა მექანიზაციის დონით. ქართულ მარგანეცზე მუშაობს ზესტაფონის, ჩელიაბინსკისა და ჩვენი ქვეყნის სხვა დიდი ფეროშენადნობების ქარხნები. შავი ოქროს ქალაქი—ჭიათურა მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

40 წლის განმავლობაში საქართველო მოწინავე ინდუსტრიულ და საკომლემენტურ სოფლის მეურნეობის ქვეყნად იქცა. დიდია ჩვენი რესპუბლიკის ხეგდრითი წონა მთელ საბჭოთა კავშირში რიგი პროდუქტების წარმოებით. ასე, მაგალითად: საქართველო სსრ კავშირში 1-ელ ადგილზეა მარგანეცის, აგატის, ბარტის, დიატომიტის, გუმბრინის, ანდუზიტის მოპოვებით, ჩაის, კოფეინის, ხარისხიანი ღვინოების, ციტრუსოვანთა ნაყოფის, შვეიცარული ტიპის ყველის წარმოებით.



საქართველოს პუკა



ოთხი ათეული წლის წინათ არავის ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ ჩვენი პატარა, ლამაზი და მზიანი საქართველო მაღალგანვითარებული ინდუსტრიული და საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის ქვეყნად გადაიქცეოდა.

გადაშალეთ გეოგრაფიის ძველი სახელმძღვანელოები, აქ არსად არაა ლაპარაკი მრეწველობასა და მის წამყვან დარგებზე, მსხვილ ელექტროსადგურებსა და საწარმოებზე, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებზე, ახალ ტექნიკურ და ძვირფას კულტურებზე.

«გეორგია ლამაზი, მაგრამ ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყანაა, ის სავესებით ამართლებს თავის სახელწოდებას». ასე წერდა გერმანელი მოგზაური ფონ-დენი ძველ საქართველოს შესახებ. მართლაც, ეს ასე იყო. «გეორგია» ბერძნულად ხომ მიწის მუშას, მიწათმოქმედს ნიშნავს და საქართველო წინათ ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყო.

ორმოცი წელია, რაც საბჭოთა დროშა დანათის ჩვენს ტურფა მხარეს. საქართველო დამკვიდრდა მოძმე ერთა ოჯახში, გაიხარა, აყვავდა.

40 წელი—ისტორიის მეტად მცირე მონაკვეთია და სრულიად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ჩამორჩენილი ქვეყანა მაღალგანვითარებულ რესპუბლიკად გადაიქცეს. ბელგიას და ნიდერლანდებს ორასი წელი დასჭირდათ, რომ მიეღწიათ მეურნეობის მაღალი განვითარებისათვის. «სამრეწველო რევოლუციის» შემდეგ ინგლისს ორ საუკუნეზე მეტი დასჭირდა, რომ მაღალგანვითარებული ქვეყნების რიგში ჩამდგარიყო.

ორმოცი წელი მართლაც რომ დროს მცირე მონაკვეთია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის განვითარება ამ ოთხი ათეული წლის განმავლობაში კი არ წარმოებდა, ფაქტიურად მეურნეობის აღმავლობა პირველი ხუთწლეულის დასაწყისიდან—1928 წლიდან იწყება, მაშასადამე, დარჩა 33 წელი; ამას გამოვაკლოთ სამამულო ომის წლები, როდესაც ახალი საწარმოები არ შენდებოდა და მთელი ეკონომიკა სამხედრო რელსებზე იყო გადაყვანილი. დარჩა 28 წელი. ამრიგად, საბჭოთა საქართველო ორმოცი წლისაა, მაგრამ როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობის განვითარებაზე, ერთგვარი შესწორება უნდა შევიტანოთ და აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მძლავრი სახალხო მეურნეობის განვითარებას დასჭირდა სარეკორდოდ მცირე დრო—დაახლოებით 28—30 წელიწადი, თუმცა ეს დროის მცირე მონაკვეთი მთელ ეპოქას შეადგენს ქართველი ხალხის ისტორიაში.

ძნელია ჩამოვთვალოთ ყველაფერი ის, რაც გაკეთდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ამას

ტომები დასჭირდებოდა. ეს ტომები დაწერილია და კვლავაც იწერება, ხოლო ჩვენ სულ მოკლედ აღვნიშნავთ სოციალისტური საქართველოს მძლავრი სახალხო მეურნეობის დამახასიათებელ ნიშანთაგანსებურებას.

საბჭოთა საქართველოს მაღალგანვითარებული სახალხო მეურნეობის პირველი დამახასიათებელი ნიშანია ბუნებრივი პირობებისა და სიმდიდრეების შესწავლა და რაციონალური გამოყენება. ოთხი ათეული წლის განმავლობაში გამოვლინდა ახალი წიაღისეულთა საბადოები, სამკურნალო მინერალური წყლები, ენერგეტიკის წყაროები, აშენდა ახალი პიდრო და თბოელექტროსადგურები. საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში «თეთრი ნახშირის» მარაგით. სწორედ ეს მომენტი განსაზღვრავს რესპუბლიკის ენერგეტიკისა და მთელი მეურნეობის ზრდას.

მძლავრმა ენერგეტიკამ და სამთო-მოპოვებითმა მრეწველობამ ხელი შეუწყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას, რამაც განაპირობა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მანქანათმშენებლობის განვითარება. ეს არის ჩვენი მეურნეობის განვითარების მეორე თავისებურება.

მანქანათმშენებლობა ხომ მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ბერკეტია, ამიტომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შემდეგ სწრაფი ტემპით განვითარდა სრულიად ახალი დარგი—მანქანათმშენებლობა.

მრავალფეროვანი მანქანათმშენებლობა—აი, მესამე და მეტად მნიშვნელოვანი ნიშანთაგანსებურება ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისა. რას არ აზნადებენ საქართველოს მანქანათმშენებლობის საწარმოები: ავტომობილებსა და ელექტრომავლებს, გემებსა და სამთო ტრაქტორებს, მოწყობილობებს კვების მრეწველობისათვის და ზუსტ ხელსაწყოებს, ჩარხებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და სხვ. საქართველოს მანქანათმშენებლობის მაღალი განვითარების მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენს რესპუბლიკას, მოძმე რესპუბლიკებსა და მსოფლიოს დიდ ქვეყნებში გააქვს მანქანათმშენებლობის პროდუქცია. ეს არის ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი მიღწევა საბჭოთა ხელისუფლების ორმოცი წლის მანძილზე.

სწორედ მანქანათმშენებლობამ შეუწყო ხელი საქართველოში კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ახალ საწარმოთა შექმნასა და განვითარებას, სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და მძლავრ აღმავლობას. ეს უკანასკნელი კი ნედლეულით ამარაგებს ჩვენი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს. მთელ მსოფლიოშია ცნობილი



სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში
 რევოლუციონერების
 მარშალის მ. ჯუღაშვილის
 მხარგრძობის დროს



— მ. ჯუღაშვილი
 და მისი ცოლი
 მ. ჯუღაშვილი

„შენი ბავშვობა, არის სიმარა, არის სიხალისე და სიბავლეობა, ტიპიკურად, აღურბინი თავი დავტოვოთ, შენი ბავშვობა — ყველა ირავად ახაზაშვიტე შენი ბუნებური ბავშვებისადმი, მიიღწვილ ერთ-ერთ ლეგენდში.“

და, მარტოა, საცქარიათა გადაცემული თვალ აქ მოივლიქმულ ფოტოგრაფებს, რომ უნდა კლდე დაკვირვებულ რენე სორის თაობის ბუნებრივად, რაა ბუნებრივად ბავშვებისათვის სკოლაშია და ბავშვების კარო, ეს ბნელი მათთვის სიღრმის დასაბუნებლებად, შინაარსიანი და ხალხ-სინთა მათი ცხოვრება.

ფრანკო უნდა ავიწყლო

ფრანკო, თურქახი, დ. იაკობაშვილი და ა. ხაჩატრიანი




სინთა მარტოაშვილი ბავშვთა სკოლაში, თბილისში



სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რევოლუციონერების მარშალის მ. ჯუღაშვილის მხარგრძობის დროს



სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რევოლუციონერების მარშალის მ. ჯუღაშვილის მხარგრძობის დროს



სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რევოლუციონერების მარშალის მ. ჯუღაშვილის მხარგრძობის დროს



სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რევოლუციონერების მარშალის მ. ჯუღაშვილის მხარგრძობის დროს



სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რევოლუციონერების მარშალის მ. ჯუღაშვილის მხარგრძობის დროს



სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რევოლუციონერების მარშალის მ. ჯუღაშვილის მხარგრძობის დროს

* * *

ცხოვრება, რომლითაც დღეს ვცხოვრობთ, ერთი ხელის დაკვრით არ აშენებულა. ქ. ხაჩიაშვილის მოთხრობა „მჭედელი“ ხაჭართველოში ხაბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებს გვიხატავს. ეს ის დროა, როცა მიწები გლეხებს დაურიგდათ, მაგრამ კოლმეურნეობები არ ჩამოყალიბებულა და ხოფლად ჯერ კიდევ არიან ბობოლეები და მოჯამაგირეები.

მაგრამ იღვიძებს ახალგაზრდობა, ზურგს აქცევს მჩაგვრელებს, შედის კომკავშირში და ახალ, თავისუფალ ცხოვრებას ეწაფება. ქეთევან ხაჩიაშვილის მოთხრობა ერთ ასეთ ეპიზოდს აგვიწერს.

* * *

ქეთევან ხაჩიაშვილი

ნახ. რ. ცუცქერიძისა

მჭედელი

სხვათა მოჯამაგირობას
ადვილად იტყვის ენაო...

ხ ა ლ ხ უ რ ი


— ოსტატო, გააკეთე ჩვენი ურემი?—არც კი მიესალმა, ისე ჰკითხა ბულბულაანთ ბიჭმა მჭედელს.

— თქვენი თორემ, მამა გიცხონდა, მამაშენი შეაბამს ცხრა უღელა ხარ-კამეჩს!

ბულბულაანთ ბიჭს ძალიან ემწვავა ოსტატის სიტყვები, რადგანაც მის მამას არათუ ცხრა უღელი, ერთი ბლავანიც არა ჰყოლია თავის სიცოცხლეში. დღე და წუთისოფელი სხვის მოჯამაგირეობაში ჰქონდა ამოღამებული და აგერ, მისი შვილიც ვერ ასცდა მამის ხვედრს, ისიც მოჯამაგირედ იყო. გულდაწყვეტილმა გადახედა შესაქეთებელ ურემებსა და გუთნებს. თავისი პატრონის ურმის თვლები ისევ ისე ეყარა. წასულიყო შინ, ეთქვა, არ გაუქეთებიაო, იქაც ამას მოხვდებოდა. ამიტომ წინანდელივით მკვახედ უთხრა:

— სიტყვას ბანზე რად მივდებ, სულ ეგრე ტყუილებით უნდა მოსჭამო შენი წუთისოფელი?!

— ჰმ! ერთი ამ ღლაპს დამიხედეთ!—თავის ქურასავით გაცხარდა მჭედელი. ქორივით გადახედა და იძულებული გახდა უკან დაეხია, საბერველს ერთხელ კიდევ ჩამოჰკრა ხელი, ქურიდან გავარვარებული ღერძი გადმოიღო, ერთი თავი საყრდენზე დაუდო, მეორე თავი გრდემლზე, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრად დაჰკრა ღერძის გავარვარებულ ნაწილს. წითელი ნაპერწკლები ჰაერში აცვივდა. დაჰკრა კიდევ რამდენჯერმე და როცა გაშვდა, ისევ ქურაში შეაბრუნა. საბერველი აამუშავა, რადგანაც მშველელი არავინა ჰყავდა. შუბლიდან ოფლი თითებით მოიწმინდა და ახლა თითონ გაყარა ნაპერწკლები იმ გავარვარებულ რკინასავით.



— მე შენსავით სხვისა ბედის მალვიძებელი არა ვარ! არავისი მოჯამაგირე არა ვარ, ჩემი თავი მე მეკუთვნის და ახალ ცხოვრებას ვემსახურები, ხალხის საქმეს ვაკეთებ. წალი, წაუღე შენს პატრონს თავისი თვლები და ეგრე გადაეცი ჩემი სიტყვები, თქვენთვის არა მცალიან, ხომ ხედავ რამდენი საქმე მაქვს!

— როცა ერთი კვირა ურმის თვლები აქ დაგვაყრევინე და გვალოდინე; ახლა წავიღო? თუ ბევრი საქმე გქონდა, რალას დაგვამუნათე! — გაცხარდა მოჯამაგირე, რადგანაც ხედავდა, რომ ის ორ ცეცხლშუა მოექცა. აქ ეს უყვირის, იქ ის დაუყვირებს, — ხელცარიელი რატომ მოხვედლიო.

— ნუ მაცდენ, შენთვის არა მცალიან! — ბრაზით უთხრა მჭედელმა და ღერძს ისევ მაგრად დაუწყო ცემა. მერე გაცივებული რკინა ქურას დაუბრუნა, წილები

გადმოყარა, ახალი ნახშირი წაუმატა და კვლავ დაუბერა.

— ძია, ვინ გაგაჯავრა? — წკრიალა ხმით შესძახა პატარა ბიჭმა მირბენისთანავე,

— აი, იმ ბრიყვმა! — მიუთითა სიმონმა და განიერი მხრები იქით შეაბრუნა. — ფეხშიშველა მოდიხარ, ცხელ წიღებზე ფეხი არ დაადგა, აქედან მოუარე, — ხელით ანიშნა. ბიჭუნამ მიირბინა, საბერველის ხარხიხზე ჩამობშული თოკი ხელიდან გამოართვა.

— მე დაეუბერავ!

— ოო, გაიზარდე დიდი ბიჭი! — კმაყოფილებით უთხრა მჭედელმა ჩალისფერ, აბურძღულ თმაზე ძარღვიანი ხელი მოუთათუნა. — ნამდვილი ოქრო ბიჭი ხარ.

მოჯამაგირე კი ყვირილით იხევდა უკან და იმუქრებოდა. ათასნაირ სალანძღავ სიტყვებს ეძახდა: უწოდებდა უპიროს, მატყუარას, რაც ყველაზე მეტად აბრაზებდა მჭედელს.

— დილა მშვიდობისა, სიმონ! რა მინდაო, ბაღში? მჭედელმა მრისხანე თვალები გააყოლა მიმავალ ბიჭს, მოსულს მანაც დილა მშვიდობისა უსურვა.

— რა მინდაო და, ჯერ არ გაუღვიძნია, ვერ გაუგია, რომ მაგის ბობოლა „ხაზეინისა“ აღარაგის ეშინიან. თვითონ რომ ისევ ყურმოჭრილ მონასავით ემსახურება უნდა სხვებიც მონებად გაუხდნენ ბარგიჭამიანთ ბიჭსა! — ამას ისე ხმამაღლა ყვიროდა, რომ საბერველის ქშუილში ყველაფერი კარგად გაეგონა მათეანთ ზალიკოს.

— კვიცი გვარზე ხტისო, სიმონ, რად გიკვირს, მაგის მამა-პაპა სხვათა მოჯამაგირეობით იწყვეტდა წელს და შვილიც იმათ გზაზე დგა!

მჭედელმა უყურა, უყურა, ღერძი გრდემლზე დადო. სანამ რკინა ვაცივდებოდა, კიდევ უბრაგუნა ფუთიანი კვერით, ღერძი კვლავ ქურაში შეაბრუნა და რადგანაც საბერველი აღარ ქშუოდა, ახლა უკვე მშვიდი ხმით თქვა:

— მაშინ სხვა დრო იყო, ზალიკო, და ეხლა სხვა დრო დაგვიდგა, მაგას ერთი კარგად ყურების გამოწყება უნდა, რომ შეიგნოს, რაც მოხდა ქვეყანაზე. თავისუფლება მშრომელ ხალხსაო, — გვაქ, მიწა გლეხებსო — გვაქ! იმას რაც მიაკუთვნეს, ბარემ ის შეიფეროს. ბარგიჭამიანთ ცხვარ-ძროხა იორს აბნელებს, იმის სიმდიდრეს მაგის მიმატება რაღად უნდა! ბრიყვია, ზალიკო, ბრიყვი, ჯერ ვერ შეუტნია თავისი მდგომარეობა, არ აფასებს იმას, რაც ხალხს დიდის ბრძოლით მოუპოვებია!

— რას იზამ, ღორის თავი ხალიჩაზე დადეს, იგორა, იგორა და ტალახში ჩავგორდაო.

— არა, ეგ ღორის თავი კიარა, ადამიანია და უნდა ამოვიდეს იმ ტალახიდან! ეს საქმე ახალი თაობის კაცებმა უნდა გააკეთონ, აი, ხუნანთ ბიჭი გიგლა, ვასო, რომელი ერთი ჩამოვთვალაო, მოჯამაგირეები იყვნენ, ახლა კომკავშირში ჩაეწერნენ, წერა-კითხვა ისწავლეს და კაცები არიან!

— ე ოქრო ბიჭი ვილასია?

— ჩემი ძმისწულია, ესა მშველის ხოლმე, ახლა რომ გაიგონა, ძიას ეჩხუბებინაო, მაშინვე ჩემს სახლში ლად მოირბინა და ორივემ კუდით ქვა ვასროლინეთ მოჩხუბარს!


ბავშვმა ჯერ ძიას შეხედა და მერე თავმომწონედ გადახედა ძიას მოსაუბრეს.

— რა გქვია, შვილო?

— ალექსა! — უპასუხა ბიჭუნამ ამაყად და ისევ ძიას შეხედა.

— შენ ალექსა კი არა, ოქრო უნდა გერქვას! ოქრო ბიჭი ყოფილხარ, შეხედე, კაცო, რა კარგად უბერავს! — შეაქო ზალიკომ.

— მამ! განა მარტო დაბერვა იცის, ცივ წყალსაც



მომიტანს ხოლმე, თავმომწონედ თქვა ძიამ. გავარვარე-
ბული ღერძი წკირივით გადმოისროლა გრდემლზე, ახლა
პატარა კვერით შეასწორ-შემოასწორა, კვლავ ცეცხლის
ნაპერწყლები გააყრევენა და თან ზალიკოს ჰკითხა:—რა-
ზე გარჯილხარ, ამ დილა აღრიან?—ხედავდა ბარი და
თოხი ილღიაში ყავარჯნებივით ამოეჩარნა და ისე ესა-
უბრებოდა.

— ამათი გამოწკება მინდოდა, ვაკეში მიწის ნაკვეთი
რომ მომიზომეს, სავენახედ მინდა დავაბრუნო. რა მი-
წაა, რომ იცოდე, ნაუჭივით მსუყუა, იქ ვაზი თითის
სიმსხო მარცვალს დაიყრის!

— მარტო შენ აპირებ იქ ვენახის გაშენებას?—ეჭვის
თვლით გადახედა მჭედელმა და ღერძის თავი ახლა
წყლით სავეს გობში ჩაუშვა გამოსაწოთობად.

— მარტო მე რათა, მთელი სამათიანო სავენახედ
გვინდა. ჩემი სახლიკაცებიც იზრუნებენ.

— ეგ კარგი საქმეა!—თქვა მჭედელმა და ყავარჯნი-
ვით შეყენებულ ბარსა და თოხს შეავლო თვალი.—მაშ,
გამოწკება გინდა?—ჩამოჯექ რამეზე.—ზალიკო მორგვზე
ჩამოჯდა.

სიმონმა ღერძი წყლიდან ამოიღო, გაზომა და, სიგ-
რძე საქმარისად რომ ჩათვალა, ახლა საქანტიკე გაუკე-
თა. თან ფიქრობდა: ელიის ბოლოს მართლა კარგი მი-
წაა, ნამდვილი სავენახე. გამრჯე კაცის მარჯვენა იქ
დოვლათს დაახვევსო. ქურიდან წილები გადმოყარა
და ძმისწულს მიუბრუნდა:

— აბა, ოქრო, დედასთან გაი-
ქეცი და ფეხშიშველი აღარ მოხ-
ვიდე!—ხელი მოჰკიდა და იქით
გაატარა, სადაც წილები არ ეყა-
რა, ხოლო საბერველთან ზალიკო
დააყენა. თოხი ჟანგისაგან გამოხ-
რული იყო, ბარს არა უშავდა
რა. ბარი გამოწკება, პირი აულე-
სა, თოხი დიდხანს ატრიალა ხელ-
ში, მერე ხელუკულმა მოიქნია და
სამჭედლოს წინ თხრილში გადაუ-
ძახა.

— რა ჰქენი, კაცო?!

— ეგ აღარ ითოხებს, ზალი-
კო, სხვა გამოენახოთ!—უთხრა და
სამჭედლოს კუთხეებში მიყრილ
უამრავ რკინის ხარახურაში დიდ-
ხანს ურია ხელები, ყველაფერი
თავდაყირა დააყენა. ბოლოს, რა-
საც ეძებდა, იპოვა. გამარჯვებუ-
ლი სახით გამოსწია მეზობლისა-
კენ, სასიამოვნო ვაჟკაცურ სახეზე
ღიმილი დასთამაშებდა. განიერი

მხრები შეარხია, ზალიკოს თვლებში შეაჩერდა და მას
კიარა, თითქოს სხვას ეუბნებო, თქვა:

— კარგ მარჯვენას, კარგი იარაღი მოუხდება. ახალ
ცხოვრებას ახალი ვენახები ახალი იარაღით გავუშენოთ,
ეგრე ივარგებს არა?!

მადლობის გრძნობით აღესიღმა ზალიკომ შეხედა
ოსტატის შთაგონებულ სახეს.

მჭედელმა ახალი თოხი გამოწკება, პირი კარგად აუ-
ლესა, ტარზე მოურგო და დალოცა:

— მშვიდობაში, კარგი საქმისათვის!—ზალიკოს შე-
გვრემან, წითლად დაჟინელილებულ სახეს სასიამოვნო
ღიმილმა გადაურბინა, ათასი მადლობა გადაუხადა,
დიდხანს იქეკა ჯიბეები, მაგრამ ორი გაცვეთილი მანე-
თიანის მეტი ვერაფერი აღმოაჩინა და მჭედელს საბერ-
ველზე შეუმჩნევლად დაუდო, ზედ პატარა რკინის ნაჭე-
რი დააღო, რომ არ აფრიალებულიყო, ბარი და თოხი
მხარზე გაიდო და შესძახა:

— მევალოს!

მჭედელმა ღერძის ბოლოებს ტაოტი მოსცხო. თვლე-
ბი შეაყენა და კმაყოფილებით გახედა ნაშრომს. თვალი
მოჰკრა შორიდან ჩქარი ნაბიჯით მომავალ ბარგიჭა-
მიანთ ბიჭს. თავი ისე დაიჭირა, ვითომ ვერ დაენი-
ხეო. ახალ შეყენებულ თვლებს

უტრიალა, მორგვის სიმარე ჩა-
ქუჩით შემოწმდა, სოლები და ფერ-
სოები მოუსინჯა. ამასობაში ბარ-
გიჭამიანთ ბიჭიც მიადგა. მჭე-
დელს ეგონა, ჩხუბითა და გნია-
სით ამიკლებსო, მაგრამ გაკვირ-
ვება არ შეიმჩნია, როცა ბობოლამ
ხუმრობის კილოთი უსაყვედურა:


— რაზე გამიგიჟე ი ბიჭი?
მართლა რამდენი საქმე დაგგრო-
ვებია!

— ვინ ბიჭი? შენი მოჯამავი-
რე? იმას ვეტყვოდი, რისი ღირ-
სიც იქნებოდა!

— გამეკცა!—გულში ჩაბნელე-
ბული ბოღმიანი ხმით თქვა და
მიწას დააშტერდა.

— „გამდლობ, ჩემო თავო,
თუ ერთ აღამიანს მაინც შეაგნე-
ბინე და უღელი მოახსნევენე!“—
გაიფიქრა მჭედელმა.





საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო დროშა და გერბი

სოფლიოს ხალხებსა და სახელმწიფოებს უძველეს დროიდან ჰქონდათ თავიანთი დროშები. დროშა შეიძლება იყოს ერთფეროვანიცა და მრავალფეროვანიც. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო დროშა წითელია, მასზე გამოსახულია ნამგალ-ჩაქუჩი და ვარსკვლავი. წითელი ფერი რევოლუციონერებმა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ მიიღეს როგორც მხაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო.

1917 წლის ოქტომბერში წითელი დროშა ძლევამოსილად აფრიალდა პეტროგრადში და ამ დროიდან იგი იქცა საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფო დროშად.

40 წლის წინათ, 1921 წლის თებერვალში წითელი დროშა საქართველოშიც აფრიალდა, როგორც გამარჯვებისა და ახალი ცხოვრების სიმბოლო. ამ სასიხარულო ამბის შესახებ სერგო ორჯონიკიძე დეპუტატად აცნობებდა ლენინსა და სტალინს: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. ვაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

საბჭოთა საქართველოს დროშა ჩვენი დიდი სახელმწიფო დროშის ნაწილია, წითელია მისი ფერი, მასაც ამშვენებს ნამგალ-ჩაქუჩი და ვარსკვლავი, ამასთან მასთან გაჰყვება ცისფერი ზოლი, დროშის თავში აღბეჭდილია მზის სხივთა კიბე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი რესპუბლიკა მზიური ქვეყანაა, ცისფერი ფერი კი — ეროვნული ქართული ფერია. ხოლო ყველაფერი ეს ჩვენს დროშას დროშათა ძმურ ოჯახში თანასწორ უფლებას ანიჭებს.

ყველა პიონერს უნდა ახსოვდეს თუ რას ნიშნავს წითელი ფერი ჩვენი დროშისა. იგი სიმბოლოურად სახელოვან მამა-პაპათა სისხლს შეგვახსენებს. წითელი დროშა სხივმოსილია მათი საგმირო საქმეებით ბრძოლისა თუ შრომის ფრონტებზე. აკი პიონერული დროშაც წითელია — ისიც ნაწილია დიდი სახელმწიფო დროშისა.

* * *

გერბი სახელმწიფოსა თუ ქალაქის, გარკვეული ორგანიზაციისა თუ საზოგადოების სიმბოლოური გამოსახულებაა.

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ გერბები არსებობდა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში — მონათმფლობელურ საზოგადოებაშიც კი. მომდევნო, მაგალითად, ფეოდალურ საზოგადოებაში ყოველი მმართველი ფეოდალის ოჯახს, აზნაურის გვარსა თუ ხელოსანთა ამქარს, თითოეულ ქალაქსა თუ სახელმწიფოს ჰქონდა

თავისი გერბი — ერთი განმარტებული ბელი ნიშანი, ან ნიშანთა კომბინაცია, რომელიც გამოხატავდა ამა თუ იმ გავრთიანების შინაარსსა და მიზანს.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გერბი აღიბეჭდება ოფიციალურ დოკუმენტებზე, ფულსა და სხვადასხვა საქმიან ქალაქებზე.

საბჭოთა კონსტიტუციაში სწერია: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირის სახელმწიფო გერბი შედგება ნამგლისა და უროსაგან დედამიწის სფეროზე, რომელიც გამოსახულია მზის სხივებში და გარშემორტყმულია თავთავებით, და რომელსაც აქვს წარწერა მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ გერბის ზემოთ არის ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი სახელმწიფო გერბი, თითოეულ მათგანს საკავშირო სახელმწიფო გერბთან საერთო აქვს ნამგალ-ჩაქუჩის ემბლემა და დევიზი, რაც ლაპარაკობს მათ ორგანულ კავშირსა და საერთო მიზნებზე.

ყოველ ნაციონალურ რესპუბლიკას თავის გერბზე გამოხატული აქვს რესპუბლიკის მეურნეობის წამყვანი კულტურა. მაგალითად, აზერბაიჯანის გერბზე გამოხატულია ნავთობის ჰაბურლილი, სომხეთის გერბზე — დიდი და მცირე არარატი, ვაზის ტოტები და სხვა.

საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო გერბზე გამოხატულია ფართო, წითელი მინდორი, რომლის ზემო ნაწილში გამოსახულია მბრწყინავი ხუთქიმიანი ვარსკვლავი, იგი თავის ელვარე სხივებს აფრქვევს მინდორს; ქვემოთ ცისფერი ფერის დათოვლილი კავკასიონია, მარჯვენა მხარეს ოქროსფერი პურის ძნა, მარცხნივ კი ოქროს ვაზი ყურძნის მტევენებით, პურის ძნისა და ვაზის ბოლოები შეერთებულია მინდვრის ბოლო ნაწილში. გერბის გულის დიდ ადგილს იკავებს ნამგალ-ჩაქუჩის გამოხატულება, რომელიც ზემოთ ვარსკვლავს ებჯინება, — ქვემოთ მთის წვერს, ხოლო გვერდით — ვაზსა და პურის თავთავებს. მინდვრის გარშემო მოთავსებულია წარწერა ორ ენაზე — რუსულსა და ქართულზე: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

საქართველოს გერბი თითქმის ორმოცი წლისაა, მისი ავტორია მხატვარი შარლემანი. ამ გერბის ესკიზმა გაიმარჯვა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მან საყოველთაო აღიარება მიიღო. ჩვენი რესპუბლიკის გერბი ჩანს მულა ქართულ ორნამენტში, რაც მას მეტად ორიგინალურ და ღრმად ეროვნულ იერს აძლევს.

გივი ჭანიშვილი

1971 წლის უკუკენ



რევოლუციამდელ საქართველოში, მიუხედავად ხელსაყრელი კლიმატური პირობებისა, ჩაისა და საერთოდ ციტრუსოვან მცენარეთა განვითარებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

იმ დროისათვის ჩაის პლანტაციებს მხოლოდ ცხრაასიოდე ჰექტარი ფართობი ეჭირა. ასევე მცირე ფართობზე იყო გაშენებული ციტრუსებიც. მათი ხარისხი და მოსავლიანობა დაბალი იყო, არავინ ზრუნავდა გაუმჯობესებაზე. იმდროინდელი ხელისუფლება უპირატესობას ანიჭებდა სუბტროპიკული ხილისა და ჩაის მზა პროდუქციის საზღვარგარეთიდან შემოზიდვას.

მოსკოვში ჩაი ჩინეთიდან შემოჰქონდათ. საქართველოში კი ინდოეთის იაფფასიანი ჩაი ირანიდან შემოჰქონდათ, და ისიც იმდენად მცირე რაოდენობით, რომ საქართველოსა და რუსეთის იმპერიის სამხრეთ ნაწილის მოსახლეობას არ ყოფნიდა. ყოველივე ამის გამო, რევოლუციამდელ საქართველოში ჩაის სხვადასხვა მცენარეებისაგან ამზადებდნენ — მარწყვის, ხენდროს, მოცვისა და გამხმარ სტაფილოსგანაც კი. ასე დამზადებული «ჩაი» «კავკასიური ჩაის» სახელწოდებით იყიდებოდა ბაზრებზე.

საქართველოში პირველად 1884 წელს შემოიტანეს ჩაის თესლი და ბუჩქები, რომლებიც ჩაქვში დარგეს სპეციალურად გამოყოფილ ნაკვეთზე. ეს იყო ჩაის პირველი პლანტაცია მთელს რუსეთის იმპერიაში. შემდეგში ასეთი ნაკვეთები გაჩნდა სამეგრელოს მთავრის დადიანის მამულში, — ზუგდიდში და თავად ერისთავის ბაღში, ჩოხატაურში.

რევოლუციის შემდეგ ჩაის პლანტაციები ხალხის საკუთრებად იქცა. განთავისუფლებულმა ქართველმა ხალხმა სწრაფად განავითარა ჩაის კულტურა. და თუ 1926 წლისათვის ჩაის პლანტაციები 1344 ჰექტარს არ აღემატებოდა, 1960 წლისათვის მის-

მა ფართობმა 53 000 ჰექტარს მიაღწია, ხოლო შვიდწლედის ბოლოსათვის ჩაის ფართობის საერთო რაოდენობა 70 000 ჰექტარამდე გაიზარდა, მოიკრიფება 200 000 ტონა «მწვანე თქრო».

ქართულმა ჩაიმ შორს გაითქვა სახელი, იგი თავისი ხარისხით ცვილონისა და ჩინეთის ჩაის ექიშებოდა. ამაში ქართველ მეცნიერებს მიუძღვით დიდი წვლილი. აკადემიკოს ქ. ბახტაძეს მიერ გამოყვანილი ყინვაგამძლე ქართული ჩაის ბუჩქები: № 1 და № 2 საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევა. საქართველოში გამოყვანილი ჩაის ბუჩქები № 6, 7, 8, 9, 10, 11 და 12 შესანიშნავად შეეგუენ ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებს. აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარის მკაცრ ზამთარს, სადაც ყინვა 26 და 29 გრადუსს აღწევს, ადვილად იტანენ ქართული ჯიშის ყინვაგამძლე ჩაის ბუჩქები. და განა მართო აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარეში, ქართული ჩაი ახლა შესანიშნავად ხარობს უკრაინაში, იმიერკარპატების, ჩერნოვიციისა და იზმაილოვის ოლქებში.

ჩვენში დიდი ყურადღება ექცევა მეხილეობის განვითარების საქმეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მრავალი ახალი ჯიშის ხეხილი იქნა გამოყვანილი, მათ შორის აღსანიშნავია ე. ერისთავის მიერ გამოყვანილი ატმის საადრეო ჯიშები: «პიონერი», «ნობათი», «გორული საადრეო», «ერისთავის ვაჭრისფერი». ყველა ესენი ძალზე გემრიელი და სურნელოვანია.



ჩაის ბუჩქის ტოტი ფოთლებით, ყვავილებითა და ნაყოფით.

ყურადღებას იპყრობს ქართველი მიჩურინელის — ვასილ ბესტავაშვილის ატმები: «ბესტავაშვილი» და «წედისური». ეს ატმები მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება. ატამ «ბესტავაშვილის» საშუალო წონა 165 გრამია, ხოლო «წედისურის» ნაყოფი — 147 გრამს აღწევს. ორივე ჯიშის ატამი ადრე მწიფდება, ტკბილია, წვენიანი, ბევრ შაქარს შეიცავს და სურნელოვანია.

კარგ ჯიშებად არიან ცნობილი ვაშლები — «საქართველოს პიონერი», «გორული სინაპი» და სხვ.

მიჩურინული მეთოდების გამოყენებით მეაბრეშუმეობის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკმა გ. ჯაფარიძემ გამოიყვანა თუთის ახალი ჯიშები: «გრუზია», «თბილისური», «ქუთათური» და სხვა მრავალი. «გრუზიას» ჯიშის თუთის ფოთოლი დიდი ზომისაა. ეს ჯიშში სხვა ჯიშებთან შედარებით 3—4-ჯერ უფრო მეტ ფოთოლს იძლევა. იგი ჩვენი რესპუბლიკის 56 რაიონშია გავრცელებული, კარგად შეეგუა სომხეთის, უკრაინისა და მოლდავეთის პავას.

შემოქმედებითი მუშაობის შედეგად ვ. კომახიძის მიერ გამოყვანილია ჩინური ტუნგოს საადრეო ჯიშები: №1, 3, 5, 7 და 10. ეს ჯიშები ერთი თვით ადრე მწიფდებიან, უხვ მოსავალს იძლევიან და მანამდე არსებულ ჯიშებთან შედარებით მეტ ყინვაგამძლეობას იჩენენ, მათში ზეთის რაოდენობა 60—65 პროცენტს აღწევს.


ხეილის იმ ჯიშების ჩამოთვლა, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იქნა გამოყვანილი, შორს წაგვიყვანს. შემოქმედებით შრომაში ჩაბმული ქართველი ხალხი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ახალი ჯიშის მცენარე გამოიყვანოს და ახაროს თავის მიწაწყალზე, რათა კიდევ უფრო ააყვავოს, ზაღნარად აქციოს მშობლიური მხარე — საბჭოთა საქართველო.

თ. ჯიქია



ისპორიული წყაროებით ცნობილია, რომ ძველი ქართველი ტომები დიდად დახელოვნებული ყოფილან მჭედლობაში და მათი სახელი შორს იყო გავარდნილი. ფერადი ლითონების მოპოვებასა და დნობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მონიკები. ზოგიერთ ევროპულ ენაზე თითბრის (სპილენძი+კალან ნაღობი) სახელი გერმანულად—მესინგ, ანგლოსაქსურად—მასტლინგ, ნორვეგულად მასინგ—მოსინიკებზს ტომის სახელისაგანაა ნაწარმოები. შემდეგში სპილენძის საბადოები ამოიწურა და ბოლო დროს საქართველოს ამ ლითონების საბადოები არ გააჩნდა. რამდენიმე წლის წინათ ქართველმა გეოლოგებმა აღმოაჩინეს სპილენძის მდიდარი საბადო, რომელსაც მადნეული უწოდეს (ბოლნისის რაიონი). მადნეულის საბადოს დამუშავება გათვალისწინებულია შვიდწლიანი გეგმით. გვაქვს შავი მეტალურგია, გვექნება საკუთარი ფერადი მეტალურგია.

განვითარება მეტალურგიის ერთ-ერთ სამშობლოდ საქართველოს თვლიან. რკინისა და განსაკუთრებით ფოლადის დნობა ძველ ბერძნებს პირველად ქართველი ტომებისაგან შეუსწავლიათ. ეს ფოლადის ბერძნული სახელწოდებიდანაც ჩანს—ხალიბ, ხალბიკოს, რაც ხალიბების ტომის სახელწოდებიდანაა ნაწარმოები. 1950 წლის 27 აპრილს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მიღებული იქნა პირველი ქართული ფოლადი. კვლავ აღსდგა ქართული მეტალურგიის საუკეთესო ტრადიციები. ამჟამად ქართული ლითონი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში გადის და უცხოეთშიც იგზავნება. საქართველო წლიურად იმდენ ლითონს იძლევა, რომ მისგან ჩამოსხმული დიდი ბოძის ფუჭე დიამეტრით 5 მეტრი იქნება, სიმაღლე კი 18 კილომეტრს მიაღწევს და სტრატოსფეროში შეიჭრება.



საპარტიკო ჯამრთელობის საკავშირო კერად არის აღიარებული. მართლაც, ას წლის მანძილზე გამოვლინებული და კეთილმოწყობილი იქნა სამასამდე კურორტი და დასასვენებელი ადგილი. ბევრ მათგანს საკავშირო და მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. საქართველოს კურორტების ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ბევრ ადგილას მოიპოვება სამკურნალო-მინერალური წყლები. ძველად მინერალური წყლის ჩამოსხმა მხოლოდ ბორჯომში სწარმოებდა, ისიც მცირე რაოდენობით. ამჟამად საქართველოში მინერალური წყლის ჩამოსხმა სწარმოებს 11 ადგილას. მთელ მსოფლიოშია ცნობილი განსაკუთრებით ბორჯომის, აგრეთვე საირმის, სქურის, ჯავის, ნაბეღლავის, ზვარეს და სხვა მინერალური წყლები. გასულ წელს საქართველოში ჩამოსხმული იყო 76 მილიონი ბოთლი წყალი, 1955 წელს კი ჩამოსხმული იქნება 150 მილიონი ბოთლი მინერალური წყალი და საქართველო ამ მხრივ მეორე ადგილიდან პირველ ადგილზე გადანაცვლებს საბჭოთა კავშირში.

ქველ რუსეთში ნავთობის გასაწმენდად საჭირო თიხა აშ შტატებიდან შემოჰქონდათ ფლორიდინის სახელწოდებით. ბევრმა არც კი იცოდა, რომ წყალტუბოს მახლობლად მდებარე სოფელ გუმბრასთან არის ძვირფასი მიწა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი თავსაბან მიწას უწოდებდნენ. გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ა. თვალჭრელიძემ პირველმა დაამტკიცა, რომ გუმბრის თავსაბანი მიწა თავისი თვისებებით წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ნავთობის გასაწმენდად. ამჟამად ეს მიწა ცნობილია გუმბრინის სახელწოდებით. სსრ კავშირმა უკვე უარი თქვა ფლორიდინის იმპორტზე. ქართული გუმბრინი თავისი ხარისხითა და რაოდენობით სავსებით აკმაყოფილებს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას.

საპარტიკოს სახალხო მეურნეობის მაღალგანვითარებაზე ის ფაქტიც მოწმობს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი პროდუქცია დიდი მოწონებით სარგებლობს მთელ მსოფლიოში. 1960 წელს საქართველოდან გაგზავნილი იქნა სამრეწველო პროდუქცია მსოფლიოს ყველა კონტინენტის 51 ქვეყანაში (გარდა ავსტრალიისა). გატანის ძირითადი სახეობანია: მარგანეცი და აქატი, ჩარხები და ავტომანქანები, ზუსტი ხელსაწყოები და მოწყობილობანი კვების მრეწველობისათვის, მარმარილო და საშენი ქვა, ღვინო და შამპანური, კონსერვები და თამბაქო და სხვა მრავალი. გასულ წელს საქართველომ მონაწილეობა მიიღო 19 საერთაშორისო გამოფენასა და ბაზრობაზე.



ფოტოები
გ. თიანთისა
და იაკობაშვილისა
და დ. შინარაშვილისა



იზაშლე, მწვანე

ჯეჯილო!..

გაქვს პირი... მშობელი
მეუბნის... საუბრობს...
ანონ... დედალი... უნა...
ხელა... მკითხა... უწყობს
ხეყუნა პირ... მშობელი...
თან.

ხვალ თუ ზევ ამ პატარებსაც სკოლა და პიონერული ცხოვრება
ვლით, უფრ კი საკუთარი ინტერესებით ცხოვრობენ და მოწვენილი
არ არიან. ტრაკერება და ქარგვა, ცეკვა და ხატვა უფროსებზე ნაკ-
ლებად არ იტაცებს მათ. საბავშვო ბაღებში ხალისიანად ატარებენ
ღარის.

ყოველ სამავალითო პიონერის ახსოს თვისი და-ძმები, მართა-
ლია, მათზე მშობლები და აღზრდლები ზრუნავენ, მაგრამ თქვენ
შევრი კარგის გაკეთება შეეძლიათ. გახსოვდეთ, რომ ისინი დიდი
ინტერესით შემოგეყურებენ თქვენ, თქვენს პიონერულ ცხოვრებას,
მაგალითს თქვენგანაც იღებენ; ხვალ თუ ზევ ისინი თქვენი პიონ-
ერული ოჯახის წევრები გახდებიან.

პატარებს... იაკობაშვილი
ცხოვრობს... ცეკვა...
ანონ... მკითხა...
შეხვედრის...
იხატავს.



საბავშვო ბაღები ზედ-
ღობით განაცხადებენ მერე-
მერე: ზედზე თუ
უქმნავენ, ხელს არ ნა-
ვთ ხვეწს პატარებს.

კარგ ოჯახში მშობლები რომ გა-
ზარდოს, შიშველებს უნდა იქნე-
ლოს ცოცხალი.



განს მართა თე-
თან მანათის თე-
მანათ ახანაშვილი.

ვეთა... რომელი პირ-
ვეთა... მანათ...
პატარებს...
რომ... კარგი...
განს... მანათ...
მანათ.

უფროსი ბავშვები, ხატავენ უფროსნი მთავარი სურვი-
ლი და სურვილი, თითქმის ყველაწილად შეიძლება
ხატვა.



ამ გოგონას კი ცარილის და ჭაღვრის მათი გა-
ყოფილი აქვს სკოლა მათთანადი კლასებში, ბიჭობა

ზნეობის სამყაროში

გასულ წელს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მეშაობდა რამდენიმე სპელეოლოგიური ექსპედიცია, რომელთა მიზანი იყო ბუნებრივი მიწისქვეშა სივრცეების — უფსკრულების მეცნიერული კვლევა და სპორტული სიღრმითი ჩაღწევები.

სპორტული თვალსაზრისით ექსპედიციების მიერ დამყარებულია საქართველოს და საბჭოთა კავშირის რეკორდები სიღრმითი ჩაღწევებში, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს მიეძღვნა.

ერთ-ერთი ექსპედიციის საინტერესო თავგადასავალს მოგვითხრობს ამ ექსპედიციის მონაწილე თამაზ კიკნაძე.



1. ჯოჯოხეთის კარებში

კარვის კალთა გადავწიე და გარეთ გამოვიხედე. არაფერი ჩანდა. მხოლოდ ნიხლი, ჭუჭყიანი, ნაცრისფერი, თვალისთვის გაუვალი. მის საფარველში მთებს და ხეობებს ეძინათ.

ტაბათი ამომავალი მზე ბერჩილის ქედს ასცდა და გადმოგვანათა. ნიხლმა ქვევით ჩაიწია, სანდრიფშის ხეობას ჩაუყვა, იქ აშოლტილ ფიჭვებს, თოვლისგან გაღუნულ, დაგრეხილ არეებს გამოედო, შეედა.

ახე იყო ყოველ დილით.

ჯუმბერი და ჭიჭიკო საუზმეს ამზადებდნენ. ზოგს წყალი მოქონდა. წყარო ხევში იყო, წყალუხვი და ცივი. მას უნულად ქცევას ერთი გრადუსი აკლდა.

თამაზ კიკნაძე

დანარჩენები თოკებს ვახვევდით, ხვევლე ტელეფონის მუშაობას ვამოწმებდით, შოკოლადს, კონსერვებს, კლდის პალოებს ზურგჩანთებში ვალაგებდით.

მაღე ექსპედიციის მთელი შემადგენლობა სახელდახელოდ გაშლილ სუფრას ვუსხედით, მერე ორ ჯგუფად გაყოფილნი, სხვადასხვა მიმართულებით მივდიოდით.

თოვლი არ ჩანდა, მაგრამ მიდამო გადათეთრებული იყო. ყველგან კირქვა, მთები კირქვის, ხეობები — კირქვებში გაპრილი.

ექსპედიციის მიზანი ბუნებრივი მღვიმეების და უფსკრულების აღმოჩენა-გამოკვლევა და შიგ სიღრმითი ჩაღწევა იყო.

მღვიმურ სპორტს ჩვენს ქვეყანაში არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ საინტერესო საახსპარეზო ქვეყანას წარმოადგენს ამ მხრივ.

ასე თქვენს საქართველოში

„ვის შეუძლია თავს დააკლოს თბილისის ნახვის სიამოვნება!“

ეს ისეთი გასაოცარი ქალაქია, რომლის მსგავსი ცოტაა ქვეყნად: დღისით გაჯადოებს თავისი ზურმუხტოვნებით, ღამით — თავისი ვარსკვლავებით.“

„ს ვ მ ტ ს რ ვ ე ტ“ — ჩენოსლოვაკური ჟურნალი.

„საქართველო — ეს არის ამაყი წარსული, მდიდარი აწმყო.“

ა ვ ს ტ რ ი მ ლ ქ შ რ ნ ა -
ლ ი ს ტ თ ა ჯ ბ შ ვ ი

„ძველი ქართული ხუროთმოძღვრების დიდებულ ძეგლებს მსოფლიო არქიტექტურის შემკვიდრობაში სამართლიანად უჭირავთ საპატიო ადგილი.“

ათვალიერებ მათ და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ადამიანის მიერ შექმნილი კულტურის ყველაზე დიდი გულშემატკივარი და ერთგული მცველი არის ქართველი ხალხი.“

მ ი ძ ტ რ კ მ რ ბ ა ხ ი,
რუმინელი პოეტი — „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი.

„გბრუნდებოდი სამშობლოში და ვფიქრობდი თიხის ქოთანზე, რომელიც თან მომქონდა. მასში იყო ქართული მიწა და პატარა ყვავილი. ეს არ იყო ჩვეულებრივი მიწა, ჩვეულებრივი ყვავილი...“

... რომ დამეწერა, თბილისმა მომხიბლა — თქო, იქნებოდა ნათელი და გასაგები, მაგრამ ძალიან მცირე.“

მ ი რ ა ბ ა ნ ძ მ მ ა,
სლოვაკი მწერალი.


«საქართველოს აქვს ერთი მთლიანი, დიდი კულტურა. ამ ქვეყანას აქვს საკუთარი წარსული და მუსიკა, აქვს საკუთარი ენა და ზნე-ჩვეულებანი. საქართველოში ხარობენ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ყვავილები და ხეები. აქ ცხოვრობს ხალხი, რომლის სასიცოცხლო ძალებს გრძნობ წარსულსა და აწმყოში.»

რა ბედნიერი უნდა იყვნენ ხელოვნების ის ადამიანები, ვის ნიჭსაც კვებავს ასეთი გულუხვი მიწა.»

პ ო ლ ვ ი ლ ე მ მ ს ი,
საბჭოთა კავშირ-ბელგიის საზოგადოების თავმჯდომარე.

«თბილისი... ამაყი ქვეყნის ამაყი ქალაქი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს გაიშალა და აყვავდა განსაკუთრებული სილამაზით.»

ი ა ნ კ ო პ ი ტ კ ი,
ჩეხი მწერალი.



პირველივე დაზვერვებში დაგვანახვა, რომ სამოქმედო რაიონი კარგად იყო შერჩეული და ჩვენც მომდომებით შევუდევით ძებნას. თუ არ გამოცდის კაცი, ძნელად მიხვდება, რაოდენ ძლიერად და მოულოდნელად მოქმედებს აქ იმედის გაცრუება. ხშირად ვხვდებით ვიწროპირიან კებს, გულისფანცქალით ვიბამდით წელზე თოკს, ვეშვებოდით. ჭა ფართოვდებოდა, ჩვენს თვალწინ დიდი დარბაზები გადაიშლებოდნენ, მაგრამ... სულ რაღაც ორმოციოდე მეტრის სიმაღლეზე ჭა თავდებოდა. ამაოდ ვეძებდით. სიღრმის გახაგრძელებლად რაიმე ხვრელს...

ერთ დღეს დასაზვერად წახული ერთი ჯგუფი გახარებული დაბრუნდა. შორიდანვე დავიცინებდით:

— მივაგენით!

მეორე დღეს ექსპედიციის მთელი შემადგენლობა ახლად-მოჩენილი უფსკრულის პირას იდგა და საიერისმოდ ემზადებოდა. ზღვის დონიდან 2100 მეტრის სიმაღლეზე, ბერჩილის ქედის კალთაზე, უფსკრულს ვიწროდ დაედო ხახა. რა მოგველის შიგ? კიდევ ხომ არ გავციტრუვდება იმედი?

ირგვლივ მოტეტვლებული ბორცვები აღმართულიყვნენ, შორს მთები მოჩანდნენ, ნისლმომხურულდები.

შორიდან მოტანილი ხის ძელი უფსკრულის თავზე გავდეთ, ზედ პატარა ჭოჭონაქი დავაშავრეთ და კაპრონის თორმეტმილი-მეტრიანი სისქის თოკიც გადავტარეთ. დაიწყო იერიში. თოკი არ-ხენას ჩავაბით. ეს ინგილო ჭაბუკი ამართლებდა თავის გვარს—ოქროჯიანების, მართლაც თქროს ჯიან მქონდა, ერთი შეხედვით ხუსტი აღნაგობის სხეულში.

არხენას რიგ-რიგობით მიუყვნენ ჭიჭიკო ჯანელიძე, ჯუმბერ ხომასურიძე, ზურაბ ტინტილოზოვი და ჯერი ჩემზე მოდგა. საველე ტელეფონი ზემოთ დარჩენილებს უფსკრულის ფსკერთან აკავშირებდა. ყველა ჩვენგანს სახტენი მქონდა. წინასწარ ვიყავით შეთანხმებულნი: ერთი დასტვენა გაჩერებას ნიშნავდა, ორი—ჩაშვებას, სამი—ამოწევას.

ტელეფონით გაცნობებს, რომ ადრე ჩადგებული თოკის გრაგნილმა, რომელიც სიღრმეში გზის შემდგომი გაგრძელებასათვის იყო საჭირო, ფსკერამდის ვერ მიაღწია და სადღაც, შუა გზაზე გაიჩხირა.

თოკი წელზე გამოვიბი, ჩაშვება დავიწყე. ფარნის შუქზე შავად ლაპლაპებდნენ უფსკრულის კედლები. ისინი ხან შორს მიდოოდნენ, სიბნელეში იკარგებოდნენ—უფსკრული ფართოვდებოდა, ხან ზედ ვებლდებოდი მუხლებით, ხშირად თავით, საქმოდ ძლიერადაც, მაგრამ ლითონის მუზარადი საიმედოდ მიცავდა. ძლივს ვაღწევდი თავს თავბრუდამხვევ ტრიალს, რადგან დაქიმული თოკი იგრინებოდა.

სინათლის ზოლმა პატარა ლავგარდანზე დაგდებულ თოკს ჩაურბინა. სახტენს ერთხელ ჩავბერე. გამაჩერეს, ლავგარდანი შორს იყო ჩემგან. როგორც იქნა, ქანი ავიღე, რამდენიმე ცდის შემდეგ შივადწიე თოკის გრაგნილამდე, ძირს ჩავაგდე და მეც დავეშვი.

უფსკრულის სიღრმე 60 მეტრი იყო. მის ძირზე ზურაბი დამხვდა, დანარჩენები ვიწრო ხვრელის საშუალებით სიღრმისკენ მიიწვიდნენ.

რომ იცოდეთ, რა ძნელი იყო ვიწრო ხვრელში გაძრომა. უამრავი წვეტიანი შვერილები, პატარა წვრილი, ბახრი სტალაკტიდო-სტალაგმიტები ტანსაცმელზე გვეჭიდებოდნენ, თითქოს არ სურდათ ფარდა აგვეხადა მიწისქვეშეთის საიდუმლოებისათვის. ჩვენ ხომ აღამიანთავან პირველნი ვიყავით, რომლებმაც აქ ფეხი დავადგიოთ და მრავალსაუკუნოვან მყუდროებაში შევიტერით. საჭირო გახდა მუშახტეთა დიდი ფარნების, აგრეთვე მუზარადების დატოვებაც ხვრელის აქეთ. სივიწროვებს ისიც ემატებოდა, რომ ხვრელის ძირზე წყალი იდგა, ყინულივით ცივი; სხვა გზა არ იყო, შიგ უნდა ჩავწოლილიყავით,

მიწისქვეშა უფსკრულებში დრო თითქოს კარგავს თავის მნიშვნელობას.

არ იცი რამდენ ხანს მიდისარ, მისოხავ, მიძვრები. აქ დრო დაძლეული სიღრმით განიზომება.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა, რომ წინიდან ზურაბი შემომესმა:

— არხენა ნაპრალში გაიქვდა!

ხმაში მღელვარება ისმოდა, და როგორ შეიძლება არ იღელვო, როცა ყველაზე სახიფათო, რაც შეიძლება სპელიოლოგს თავზე დაატყდეს, ეს ნაპრალში გაქვდვია, როცა ვერც წინ მიდისარ ვერც უკან, მიშველებაც შეუძლებელია.

არხენას გამოხსნას ჭიჭიკო და ჯუმბერი ცდილობდნენ. არასასამოგონო ამბავი ტელეფონით ვაცნობთ ზევით მყოფთ, მაგრამ სიტყვიერი გამხნეების გარდა, მათ არაფრით შეეძლოთ შევლა ჭიჭიკომ და ჯუმბერმა ნახევარი საათი იწვალეს. შემოახიეს ტანსაცმელი არხენას და ძლივს გამოგლიჯეს იგი კირკვის „ბრჭყალებს“.

ძნელა იმის გადმოცემა, თუ რას განიცდის აღამიანი კარსტულ უფსკრულში. წარმოიდგინეთ მთამხველლის სიარული ღამით, როცა არ იცი სად რა ნაპრალი მიგელის, ან სად მოგიწყდება უჩინარი ლოდი.

წინსვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. მასიური კირკვა ისე ვიწრო ნაპრალს ქმნიდა, რომ რაც არ უნდა წვრილი და მოქნილი ყოფილიყო აღამიანი, შიგ ვერ გაეტოვდა.

უკან დაბრუნებისას უსიამოვნო ურუანტელს გვგვრიდა 60 მეტრიანი უფსკრულის ძირზე მდებარე ვიწრო ხვრელი, სადაც მუზარადები დატოვებულ, ხვრელი ათასი ხელით გვეჭიდებოდა, გვანებდა ტანსაცმელს. ბრუნების ფხრების ხმა ტელეფონის საშუალებით ზედაპირზე მყოფებსაც გაეგოთ. ამ ხვრელს „ჯოჯოხეთის კარი“ ვუწოდეთ.

ეს იყო თავი დავაღწიე ხვრელს, რომ ზურაბის ხმა მომესმა:

— თამაზ, გავიქვდი!

სწრაფად ჩავბრუნდი. ზურაბი ყინულივით წყალში იწვა. შუბლიდან სისხლი სდიოდა. მივეხმარე, ძლივს ამოვიდა. უკან ჯუმბერს, ჭიჭიკო და არხენა მოყვებოდნენ.

ქანცმიღლეულები, ხველები, ტალახიანები, სიცვისაგან გათოშობილები, უფსკრულის ძირზე შეფიქრებულ ხუთივენი. დაღლილ სახეებს მაინც გამარჯვებული ღიმილი გადაკრავდა, ამ ჩახვლით ორჯერ გაიზარდა საქართველოს სიღრმითი ჩაღწევების რეკორდი, ხოლო საბჭოთა კავშირის რეკორდს ჩვენს მიერ დაპყრობილი სიღრმე—150 მეტრი, სულ რაღაც თხუთმეტოდე მეტრით ჩამორჩებოდა. აქაც გავციტრუვდა იმედი, რაღა სწორედ იქ შევიწროვდა ნაპრალი!

დავიწყეთ ახვლა. ქვევიდან ვხედავდი, როგორ მიეჩანებოდა თოკზე დაკიდებული არხენა ზევით. იგი თანდათან პატარავდებოდა, მისი ფარნის სინათლეც სუსტდებოდა. არხენას ჭიჭიკო მიყვა, მერე ზურაბი, ჯუმბერი. ტელეფონით ვკარნახობდი ზევით მყოფებს ამხანაგების აწევის ტემპებს:

— მოუჩქარეთ... ნელა... გააჩერეთ... ასწიეთ...


ლოდგამომბული თოკი ჩემს ფეხებთან დაეცა. წელზე შევიბი, ყურმილს უკანასკნელად ჩავძახე:

— მზად ვარ!—და მოვწყვი ლოდებიან ფსკერს. ისევ თავბრუდამხვევი ტრიალი, ისევ კედელზე მიხლა...

ამხანაგები აღდროთვანებული ყუინით შემეგებნენ „ბნელების უკანასკნელ მოცოქულს“. ეს აღტაცება ჩვენი მიღწევით და, რაც მთავარია, უსიფათო დაბრუნებით იყო გამოწვეული.

ღამის ათი საათი იყო. ვარსკვლავები ვარს ეხვეოდნენ, შესცემციმებდნენ ბერჩილის ქედზე შემომჯდარ მთვარეს.

ძალზე დაღლილად მეჩვენა იმ ამხანაგების სახეები, რომლებსაც ცოტა ხნის წინ ჩვენი სიცოცხლე ეპყრათ ხელთ. არც თუ ისე ადვილია ხუთი კაცის ჩაშვება—ამოყვანა 60 მეტრის სიღრმის უფსკრულში.



მწყემსებს, ალბათ, უკვირდათ, როცა ფერდობებზე მოძრავი სინათლეები დაინახეს — ეს ჩვენ ვბრუნდებოდით ბანაკში.

ჩვენი ექსპედიციის უფროსის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, ლევან მარუაშვილის მეცნიერული წინასწარმეტყველება გაგრის მასივზე ღრმა კარსტული უფსკრულების არსებობის შესახებ — გამართლდა.

2. დაკრილი მიმინო

საკირო იყო ახალი უფსკრულის ძებნა. სადაზვერვო მარშრუტები არ წყდებოდა.

ერთხელ, ზურაბი, დემურ ტაბიძე და მე, ჩვენი ბანაკიდან ორი-ოდე კილომეტრზე წავაწყდით საინტერესო, თორმეტ მეტრის სიღრმის მქონე ჩაღრმავებას, რომელიც თოვლით იყო ამოვსებული. აგვისტოს მხურვალე მზე და თოვლი? როცა ახლო-მახლო მწვერვალებზეც კი აქა-იქ პატარა ნაგლეჯებდალა შერჩენილი!

თოვლი მაგარი იყო და წვიმისგან დაჩრტილი. დაუინებოთ ვეძებდი ხვრელს და მდვადენი კიდევ. იგი დაქანებულიად ეშვებოდა სიღრმისაკენ. იატაკად მყინვარქვეული თოვლი მიყვებოდა ხვრელს. ზურაბმა წერაყენით საფეხურები გაკრა და ჩავედით. ფარნის სინათლემ დიდი, ქერმალდი დარბაზი დაგვანახა, რომელშიც დიდებულ სანახობად ეშვებოდა მიწისქვეშა მყინვარი. ჩვენ 40 მეტრის სიღრმეზე ვიყავით, შემდგომი ჩახვლა საკმაო თოვის უქონლობის გამო შეუწყვეტით. გამოვბრუნდით.

ბანაკში მარშრუტიდან დაბრუნებული ამხანაგები გველოდნენ. ჯუმბერ ხომასურაძის გემრიელი სადილი დაემზადებინა.

ტიტიკოს ხელში რაღაც ფრინველი ეჭირა. მივუახლოვდი, მამინო იყო. თვალებს აბრიალებდა, თავს ირგვლივ ატრიალებდა და ჩემი ხელის მოძრაობას ადევნებდა თვალ-ყურს. ტყვედმყოფს არ სურდა თავისუფლების ადვილად დათმობა, გაფრენას ლაშობდა, გაუსხლტა კიდევ ხელიდან, მაგრამ მაშინვე, იქვე დაენარცხა დამიწვას. მიმინო ფრთაში დაეჭრა მწყემსის საფანტს.

ტიტიკომ მიმინო მე დამითმო. „ეიშმაშობას“ შევუღდექი. სავლემ აფთიაქში პენცილინი მოვებნე, დავანაყე და ქრილობაზე დავაყარე. მიმინო გაიტრუნა, თითქოს მიხვდა, რომ მისი მტერი არ ვიყავი.

ორი დღის განმავლობაში არაფერს ჭამდა, მაგრამ შეემჩვია თანდათან. პატარა ჩიტებს ვუკლავდი დიდი თოვით.

3. ომი წვეროსნებთან

მე და ჯუმბერ დიდს—ახე ვეძებდით ხომასურაძის, ხოლო ჯუმბერ ჯიშკარიანს—ჯუმბერ მცირეს, თუმცა ისინი ტანის სისრულით არ ჩამოუვარდებოდნენ ერთმანეთს—ერთ კარავში გვეძინა. ჩვენი კარავი სხვებთან შედარებით განაპირას იდგა. ჯერ კარგად გათენებული არ იყო, რომ კარავმა ზანზარი დაიწყო... გავიღვიძეთ. მიწისძვრა?

უველაფერს მიხვდით, როცა პეტელი გავიგონეთ. თურმე ჩვენ თხების საყვარელ დასახვენებელ ადგილზე ვიყავით დაბანაკებული და საძვრებიდან დაბრუნებულ თხებს, რასაკვირველია, გააკვივდათ უცბად გაჩენილი მწვანე ბორცვების დანახვა (ჩვენი კარავები მწვანე ფერისა იყო). უფრო გამბედავები ახლოს მოდიოდნენ და წინა ფეხებით ბრუნებდნენ ევრდნობოდნენ, თან უნოსავდნენ, ენას უსვამდნენ, ალბათ ფერი ატყუებდათ, ბალახის ზვინი ეკონათ. ჯერ გვეზარებოდა თბილი საძილე ტომრების დატოვება, შიგნიდან ვებრძოდით თხებს, მაგრამ ზოგი მათგანი საბასუხო იერიშზე გადმოდიოდა ბასრი რქებით. ჩვენს კარავს საფრთხე ელოდა და ჩვენც რიგრიგობით გამოვძვრებოდით კარვიდან, ხელჩართულ ბრძოლაში გადავდიოდით თავდაშხმებლებთან.

მწყემსს ვთხოვეთ სხვაგან გაერქა ხოლმე, მაგრამ ერთხელ დაჩვეულებს აბა, რა გადაჩვევდათ, და ჩვენც უწყველ დილით „მადლიძარას“ მოვალეობის არამკითხველად შემსრულდებოდით. ბრძოლას ვუჩაღებდით.

4. ისევ მიწის ქვეშ

ჯერ მზე არ იყო ამოსული, რომ უველანი წამოვიშალეთ. დღეს ახალაღმორჩენილი თოვლიანი უფსკრულის იერიში უნდა დაგვეწყო. ისევ თოკების დახვევა, ფარნების შემოწმება...

ახლა, როდესაც დედამიწაზე თითქმის უველაფერი აღმოჩენილია, თითქმის უველან აქვს ადამიანს ფეხი დადგმულს, რაღაც შეუცნობელი სიამაუის გრძობა გეუფლება, როცა გამოუყვლევ უფსკრულში პირველად ადგამ ფეხს, ისევ ვიწრო ნაპარლებსა და ხვრელებში ხოხვა, ღრმა კებში თოკების ჩაშვება, სიცივისაგან ითოშები, ტანსაცმელი გუხევა, მაგრამ სიღრმე გეძახის; გიზიდავს. გადაულახავი ძალით და შენც მიდიხარ, მიდიხარ შეუჩერებლად. სანამ ძალა გყოფნის.

ამ დღეს 70 მეტრ სიღრმეს მივადწიეთ. თეთრ კედლებს მარგალიტებით ეკიდა კალციუმის ნაგერი წყლის წვეთები, აქ იბადებოდნენ სტალაქტიდები, სტალაგმიტები, რომლებიც წლების შემდეგ მნახველის მზერას დაატკბობენ, გააოცებენ.

ერთ-ერთი დარბაზის ქერში მიწისქვეშა მყინვარის ენა მოჩანდა. გზის შემდგომი გაგრძელებისათვის საკირო იყო ლითონის ქაღალის დამაგრება, რადგან ქვევით ღრმა უფსკრული იწყებოდა.

5. უსახელო მწვერვალზე

მეორე დღე დახვეწების დღე იყო გამოცხადებული, მაგრამ უქმად რა გაგაჩრებდა. ექსპედიციის უფროსმა საინტერესო იდეა წამოაყენა. რუკა ჯავშალით, ჩავუხხედით. ჩვენი ბანაკიდან ჩრდილოეთით არაბიკას მთა აღმართულიყო, მის მახლობლად კი—უსახელო მწვერვალი. არაბიკაზე მაღალი. მ. მარუაშვილის განცხადებით იგი საქართველოს კირქვულ ზოლში უველაზე მაღალი იყო და 3000 მეტრამდე აღწევდა. გადაწყდა: ოთხი კაცი—დ. ტაბიძე, ჯ. ჯიშკარიანი, ჯ. ჯანელიძე და მე უნდა წავსულიყავით მის დასაპყრობად.

ნისლიანი დღე იდგა. ჩვენმა ოთხეულმა უსახელო მწვერვალისკენ აიღო გეზი. რამდენიმე საათს მივიღოდით აღმართ-დაღმართებზე, თხის ბილიკებზე. გავიარეთ მყინვარული ხეობები. საქართველოს გვიანდელ გაშენებებს აქ თავისი კვალი დაეტოვებინა, ხეობა სავსე ყყო დიდი და პატარა ლოდებით, მორენებით.

შორს უსახელო მწვერვალი გამოჩნდა. ზამთრის თოვლს აგვისტოს თოვლიც მიმატებოდა, რომელიც ორიოდ კვირის წინ მოვიდა მწყემსების თქმით. თოვლი ქარს გადაეყარა, მზეს გაედნო და აქა-იქლა შერჩენოდა ფერდობებს თეთრ ნაგლეჯებად.


ავდომდით მწვერვალზე და ძალაუნებურად შედარებას ვახდენდით: აქ მზე თვალს გვჭრიდა, გვცხელვდა, ირგვლივ უზარმაზარი სივრცე იშლებოდა, ხედავდი ამხანაგს, გვერდით რომ მოგუებოდა, უღრუბლო ცაზე ძერა ნებივრობდა. იქ კი, მიწის ქვეშ, სივიწროვე, ხანჯლებივით სტალაქტიდები და, რაც მთავარია, წყვედადი.

უსახელო მწვერვალი „სპელეოლოგების მწვერვალად“ მოვხატეთ, აქედან დიდ მანძილზე მოჩანდა კავკასიონის ქედი, ზოგან თავარა მზით აელვარებული თოვლმუზარადა მწვერვალებით, ზოგან კი პირქუში, ნისლმოსურული.

მწვერვალზე წერილი დავტოვეთ და უკან გამოვბრუნდით. ისევ მორენები, ლოდებიდან ლოდზე ხტუნვა. ზოგან დეკა მოსდებოდა კირქვას.

კარგა ხნის შემდეგ, როცა მთვარემ ამოანათა, შორს კოცონი დავინახეთ. იგი ჩვენს ამხანაგებს დაენთოთ, რომ ცეცხლის შუქზე ადვილად მიგვეგნო ბანაკისათვის.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



მეტყველების ორგანო; 18. ქართული ანბანის ერთ-ერთი ასო.

ვერტიკალურად: 1. რ. გვეტაძის რომანი; 2. სოფელი საქართველოში; 3. ქართული ჭიდაობის ილეთი; 4. ხილი; 7. ბოსტნეულის მავნებელი მწერი; 8. ა. ყაზბეგის ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟი; 9. ბოსტნეული; 10. ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოში; 11. ფუტკრის ბინა; 12. შრომის პროცესი; 13. თმის საღებავი; 15. სახობო ლექსი.

ჰორიზონტალურად: 3. ლაშქარი ძველ საქართველოში; 5. რაიონული ცენ-ტრი საქართველოში; 6. ნ. მომხატველი სიტყვა; 7. ლომოურის მოთხრობა; 14. ტყეში გაკაფული სახნავი ადგილი; 16. უარყოფის გატრი საქართველოში; 17. შუადგინა.

პ ე ს უ ხ ე ბ ი

კ რ ო ს ვ ო რ დ ი

ჰორიზონტალურად: 1. ლაიფციგი; 3. ცეტკინი; 5. ულიანოვი; 12. ანა; 14. ოკა; 16. აორტა; 17. ისი; 19. არაგვი; 20. გალილეი; 21. აშხაბადი.

ვერტიკალურად: 1. ლიახვი; 2. ციურიხი; 4. კრაკოვი; 6. ალაბამა; 7. იკაროსი; 8. ილიჩი; 9. ბერნი; 10. ია; 11. ჩაი; 13. ტარლე; 15. „ისკრა“; 18. ია.

მზე უკითო უანჯკაბიდან

რკვაზ ინანიშვილი

ნახ. თ. მირზაშვილისა

ამ წერილს არაგვის ხეობის ერთ პატარა სოფელში ვწერ, ძველის-ძველ სახლში, კედლები რომ მეტრნახევარი სისქისა აქვს, სიმაღლით კი—ჭერს შესწვდები ხელით. თებერვალია. მინთია თუნუქის დანჯღრეული ღუმელი, იატაკზე გაგებული მაქვს დათვის გაქუცული ტყავი. ზედ პატარა სკამი მიდგას, ვზივარ ტყავზე, სკამზე ქალღმერთი მიწყვია და...

ტოხს... მაისში დავდეთ პირობა, მთაში რომ მივდიოდით, თითონ მე დავკარ პირველი ბარი საძირკველს. დავბრუნდი ენკენის თვის ბოლოს და აესრე დამახვედრა გადახურული, გამართული. აცხონოს ღმერთმა, პირიანი კაცი იყო“. აცხონოს—კაი პირიანი კაცი ყოფილა ექვთიმე. ისეთი კედლები ამოუყვანია,—ტანკი ვერ გაანგრევს, ალბათ. თუ დაბალია, თუ სათოფურისოდენა აქვს სარკმლები, თუ გამუდმებით როგორღაც ბნელა—ესეც, ალბათ, ასე იყო მიღებული იმ დროს და ექვთიმეც ასე გამართა, პირიანი კაცმა...



საცაა დაღამდება. კვამლისფერი ედება სათოფურივით პატარა სარკმლის მინებს. იმ მინებს იქით კი თოვს. მესამე დღეა თოვს და თოვლს კი არ სდებს. შემოვა სახლის პატრონი, ოთხმოცდაშვიდი წლის ნამწყემსარი ბერიკაცი, გაიწევეს აქეთ-იქით რუსული დაბამული ქურთუკის კალთებს, ჩაჯდება ღუმელის წინ, ითბობს შავ, გამხმარ, დაკვრანხულ ხელებს; მე ერთხელ ეკითხები და ის მეთოდ მიყვება: „ამ სახლის აშენებაში ორმოცი დედაცხვარი და თხუთმეტი ქედილა მივეცი ექვთიმე კალა-

გარეთ კი თოვს და თოვს. საცაა დაღამდება, ვერ იკიდებს თოვლი ფეხს და ტალახია გაუვალ ორლობებში. ბღაგის დედის მომლოდინე ბოჩოლა, ყივის გომურის დერეფანში დაჯგომული მამლაყინწა, ვილაც მიაჭყაპუნებს ტალახში, ვილაც ცხვირს აცემინებს და თვითონვე ეუბნება თავის თავს: „ხერი, ჩემო თავო“... ისევე შემოდის ჩემი სახლის პატრონი ბერიკაცი, მხრები დასველებია, ჯიბეებს იხზრეკავს,

— რა მექნა, კაცო, სად შევინახე ის რალაცაა...
ეძებს და ძლივს პოულობს.

— წერილი მოგივიდა ქალაქიდან. ყინვა არ სჯობია ამ ოხერ კყაპსა?..

გაიწევეს აქეთ-იქით ქუროთუქის კალთებს, ჩაჯდებოდა ღუმელის წინ და მიუშვერს შავ, გამხმარ, დაკვრანხულ ხელებს...

მე კი კონვერტს ვხსნი, სარკმელთან მივდივარ და ღიმილიანი ვიწეებ წერილის კითხვას, ღიმილი აღარ მყოფნის, სიცილი უადგილოა და ლამის ჩამოვიგლიჯო, ვეწევი და ვეწევი საკინძეს.

— ვისია, ვინა გწერს?—მეკითხება ბერიკაცი.

კითხვას ვამთავრებ და ღუმელთან დაგებულ დათვის ტყავზე ვჯდები. ვზივარ და ისევ წერილს ვათვალიერებ, აღარ ვკითხულობ, ისე ვათვალიერებ.

პატარა ბიჭი მწერს, ჩემი ერთი პატარა ძმაცა, ცამეტი წლის ბიჭი. რეებს იწერება ერთი ყური უგდეთ: „ბინა საბურთალოზე მოგვცეს,—ვიწეებ იმ ადგილიდან, საიდანაც მგონია, რომ მოხუციც კი დაინტერესდება,— პავლოვის ქუჩაზე, ხუთსართულიან ფართოფანჯრებიან სახლში. ჩვენ მეოთხე სართულზე ვართ. ამომავალი მზე პირდაპირ ჩვენს ფანჯრებს ადგება. ვდგავარ ხოლმე და გადავყურებ ქუჩას და იქით გაშლილ სახლების სახურავებს. ზამთარია, მაგრამ თბილისი მზითაა სავსე. ის



მზე კიდევ მტრედებით. მტრედები ფარფატებენ, ტრიალებენ, ფრთებს ატკაცუნებენ.

არ ვიცი, რატომ მემართება ასე. აქ ყველაფერი თვალს მტაცებს და ყველაფერში რალაც ახალს ვხედავ. თითქოს ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავდე—დედა რომ თავის პატარას მიარბენინებს საბავშვო ბაღისაკენ,

მოხუცი რომ გამოდის მალაზიდან და კმაყოფილი დახედავს თეთრ, აფუებულ პურს, ბიჭები რომ მიდიან ლაპარაკით, სიცხლით და თან მიჰყვებიან მზე...

აქ ავტომობილებიც კი სხვანაირად მეჩვენება! ჩვენს დაბლა, ქუჩის იქით ავტობუსების გარაჟია. არასოდეს არ მომსვლია აზრად, რომ შეიძლება ასეთი ლამაზი ყოფილიყო გარაჟი. დგანან მანქანები ფერად-ფერად და მწყრივებულნი: წითლები ერთად, ცისფრები ერთად, ყვითლები ერთად. სხვა მანქანები მიქრიან, მისრიალებენ. ავტობუსები კი დარბაისლური გუგუნით გამოდიან ქიშკარში და მერე დარბაისლურადვე მიჰყვებიან ქუჩებს...

იქით ჰიპოდრომიც. ეხლა რუხი ფერი დაჰკრავს ჰიპოდრომის გზებსა და ტრიბუნებს, მოწყენილია ყველაფერი. მაგრამ მალე დაიწყება დოლის სეზონი და ალბათ, გაცოცხლდება კი არა, გადაირევა აქაურობა.

როგორც კი დროს ვიხელთებ, მივყვები ჩვენს ქუჩას ზემოთ—წყნეთის მიმართულებით. ახალი სახლები, ახალი სახლები,—დიდი, თეთრი, ახალი სახლები; ბუღლოზერები, ექსკავატორები, ამწეები, ბლოკები... და ყველგან მზე და ხალისი.

ხანდახან წამოვა ნისლი, მოედება ქედებს, ჩამოიწევეს დაბლა ხევებშიც, შემოდის ქალაქშიაც. გაირინდებიან ხეები, მოიწყენენ მტრედები.

მაგრამ ბუნება თითქოს განგებ იქცევა ასე—რომ მერე უფრო კარგად ვიგრძნოთ ძალა სინათლისა. მალე ისევ გამოანათებს მზე, ისევ აივსება ოკროსფერი სხივებით ჩვენი ფანჯრები და მთელი ქალაქი ჩემს წინ, და ისევ გამოიფინებიან პატარა ბავშვები ქუჩაში.

მინდა ვინმეს ვუთხრა ეს ყველაფერი, მინდა ხმამალა დავიძახო. დედა სამსახურშია, ყვირილი უხერხულია, და აი, ისევ შენ გწერ...“

კითხვა დავამთავრე. აქეთ-იქით მიმოვიხედე და მომეჩვენა, რომ აქაც, ამ ბნელ ოთახშიაც თითქოს შუქი დამდგარიყო რალაც. ბერიკაცს შევხედე კითხვის გამო-მეტყველებით—როგორი ძმაცა კი მყავს მეთქი, ჰა? ის მორჩილი თვალებით შემომცქერის, მერე ამოიოხრებს, ხელისგულებს გახურებული ღუმელის კიდზე დააწყობს და ეხებო—ნაღვლიანად იწყებს:


— დრო თქვენ უნდა დაიკვებოთ, შვილო, დადიხართ ასფალტზე და ცხოვრობთ მეხუთე სართულზე-და. მე რა!.. მე მოჯამაგირეობით ნაშოგნი ორმოცი დედაცხვარი და თხუთმეტი ჭედილა მივეცი ემ ჯურღმულის აშენებაშია. ღვინო, პური და ლობიო კიდევ სხვა. დრო თქვენ უნდა დაიკვებოთ, შვილო, მე რა...

— ეხებე!—ვიძახი მეც და აღარ ვიცი სხვა რალა უნდა ვუთხრა ამ კაცს.

გარეთ თოვს. ძაღლის ყევა ისმის. ჩემი თბილისი მენატრება. ხვალ უთუოდ წავალ.



შენდება ჩვენი თბილისი!



ნახატები

თ. შირვაშილისა

6. 19/176

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

